

საბავშვო ჟურნალი



ბ ა ვ შ კ ო რ ი ს კ უ თ ხ ე

როგორ უნდა დაიწეროს შენიშვნა.

ჩვენი ჟურნალის რედაქციაში ბევრი წერილი მოდის, რომლებშიაც ბავშვები გვთხოვენ ვაცნობოთ მათ, თუ რის შესახებ და როგორ სწერონ შენიშვნები.

ჟურნ. „პიონერის“ წარსულ ნომერში (№ 12) მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ნაჩვენები იყო, თუ რის შესახებ შეიძლება წერა ზაფხულის განმავლობაში. ამ შენიშვნაში ჩვენ შევეცდებით მოკლედ აღვნიშნოთ შენიშვნის შედგენის ძირითადი წესები.

ამოირჩიე თემა

მრავალი ბავშვობრივ ერთსადაიმთხვე შენიშვნაში სწერს სხვადასხვა, სრულიად ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკითხების შესახებ; აქ შეხვედებით ცნობებს ექსკურსიის, კედლის გაზეთის, სკოლის, წრეების და სხვ. შესახებ.

ასე წერა არ შეიძლება. საჭიროა, რომ თვითვე შენიშვნაში საუბარი იყოს მხოლოდ ერთი თემის შესახებ.

ამავე დროს უნდა ამოარჩიო ისეთი თემა, რომლითაც არა მარტო დაინტერესებ ბავშვებს, არამედ სარგებლობასაც მოუტან მათ.

დასწერე მოკლედ

არაა საჭირო შენიშვნისათვის გრძელი შესავალი: ის არავისთვის არაა საინტერესო. არაა საჭირო თემაში ზედმეტი საუბრის და სცენების შეტანა. როდესაც დაწერ შენიშვნას, შემდეგ წაიკითხე ის გულდასმით და შეასწორე.

ფრთხილად მოეპყარი სიტყვებს.

ბავშვობრივების უმეტესობა ისე გაუგებრად სწერს, რომ ვერც კი გააჩვენოთ. სიტყვებიც ერთფეროვანი,

მოსაწყენი აქვთ, თითქმის ვერც კი შეხედები კარგ სიტყვებს. ეს იმიტომ არის, რომ ბავშვები ცდილობენ შენიშვნა დასწერონ მეტისმეტად „ჰკვიანურად“. ე. ი. ისე, როგორც იწერება ცუდი საგაზეთო წერილები, ცირკულიარული წერილები და ოქმები.

სიტყვებს და გამოთქმის წესებს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოგვპყროთ, ფრთხილად უნდა შევარჩიოთ კარგი, ახალი სიტყვები, თავიდან უნდა მოვიშოროთ „გაცვეთილი“ სიტყვები, მოსაწყენი გამოთქმები. თვითვე უნდა ბავშვობრივ კარგად უნდა ახსოვდეს ამის შესახებ.

სათაური

სათაურს დიდი სიფრთხილით უნდა გამოიარო. ის უნდა შეეფერებოდეს შენიშვნის შინაარსს. უნდა ეცადო, რომ ისეთი სათაური გამოიარო, რაც სხვა შენიშვნებს არ ჰქონდა წინათ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: უკვე ნაცნობი სათაურების წამოხველი შენიშვნასაც აღარ წაიკითხავს.

როგორ გავაგზავნოთ შენიშვნა.

შენიშვნა, რომელსაც აგზავნი რედაქციაში დაწერილი უნდა იყოს სუფთად და გარკვევით, ქალაქის მხოლოდ ერთ გვერდზე.

თვითველი შენიშვნა დაწერილი უნდა იყოს ცალკე ქალაქის ფურცელზე.

შენიშვნა დაწერილი უნდა იყოს არა ფანქრით არამედ მელნით.

თვითველი შენიშვნის ქვეშ უნდა იყოს ნაჩვენები ბავშვობრივის სწორი მისამართი, მისი გვარი წლოვანება და ფსევდონიმი (თუ დამწერს არ სურს ნამდვილი გვარის მოწერა).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ნორჩო ლენინელებო! მუშათა საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად—საკ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. არსებულ ნორჩ პიონერთა ცენტრ. ბიუროს მოწოდება	2
2. ქალაქი ნავებზე —ბ. ოლენიძის	3
3. პიონერების სიმღერა—ლექსი—ჟ. ვარლამიძის	4
4. ვერხვის ქვეშ—დ. კარბელის	5
5. პატარა ლიუსი—ს. ერთაწმინდელის	8
6. ხუთი მდინარის სათავეში—ნ. კეცხოველის	11

7. ჩვენი ყურადღება სოფელს!—	14
8. ჩვენი ძმები მსოფლიოში—	16
9. მეტი ყურადღება კოოპერაციას—ვ. ლ. ის	19
10. გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე	20
11. რა არის ინდუსტრიალიზაცია—ბ. მეენიძის	21
12. როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ომისათვის.	23
13. როგორ უნდა დაიწეროს შენიშვნა.	} გარეკანზე.
14. წითელი დროშის ისტორია.	

329.153 (051)

3-47



საქართველოს სახალხო რესპუბლიკის

მუშათა კლასის საქმიანობის იყავ მხედველობაში



პიონერები



1927

15 ივლისი

განათლების სახალხო კომისიის სოციალური აღზრდის მთავარმართველთმის და საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური მიერთის (საქ. ა. ლ. კომპარტიის ცუკასთან) აქრნალი მავშებისათვის

წელიწადი II

№ 13

140-1927

60



პიონერები დასასვენებელ სახლები (კოჯორში).



ნორჩო ლენინალაგო! გუშათა საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად

მუშათა და გლეხთა ბავშვებო!..

ნორჩო პიონერებო!..

მშრომელთა ქვეყანას, ჩვენს საბჭოთა კავშირს, კაპიტალისტები სისხლისმღვრელი ომით ემუქრებიან.

მათ სურთ საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს წაართვან ოქტომბრის მონაპოვარი, ის მონაპოვარი, რის გულისთვის იბრძოდნენ და იღუპებოდნენ თქვენი მამები, თქვენი უფროსი ძმები

მათ სურთ წაართვან მუშებსა და გლეხებს გამირული თავგამეტებით და ბრძოლით მიღებული ხელისუფლება.

მათ სურთ ფაბრიკანტებს დაუბრუნონ ქარხნები, მეზატონეებს — მიწები.

მათ სურთ, რომ თქვენს ოჯახებს წაართვან დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, მუშაკები და კლუბები.

მათ სწადიათ ააღორძინონ ძველი, მონური წყობილება, რომლის დროსაც მუშები და გლეხები „გარდავლები“ (ასახების) მხვერაობის ქვეშ ჰქმნიდნენ აუარებელ სიმდიდრეს ქვეყნის მუქთახორებისთვის.

მათ სურთ აღადგინონ ის წყობილება, რომლის დროსაც ბავშს ზრდიდნენ ისე, რომ ის ყოფილიყო მუდმივი მონა-მორჩილი.

მშრომელთა სისხლით სწადიათ მათ შეღებონ საბჭოთა ქვეყნის ქალაქების ქუჩები და საბჭოთა სოფლის მიწები.

ისინი გვიწვევენ ჩვენ ომში.

ინგლისის მთავრობის მითითებით სამხრეთ ჩინეთში, პეკინში, იქ, სადაც ჯერ კიდევ არ გადატყორცნილა რევოლუციის ტალღა, თავს დაესხნენ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლებს.

ლონდონში, სადაც ბინადრობს ინგლისის მთავრობა, ის მთავრობა, რომელსაც ეჯავრება მშრომელი ხალხი, პოლიცია თავს დაესხა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლებს.

იმ ჩხრეკის შემდეგ, რომელმაც მათ არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანა, ინგლისის კაპიტალისტთა მთავრობამ შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა.

კაპიტალისტთა მიერ მონარქისტების ამოქმედებულმა ხელმა ვარშავაში მოგვიკლა წარმომადგენელი — ვოიკოვი.

ჩვენი ქვეყნის შიგნით კი კაპიტალისტთა აგენტები ცდილობენ შეასუსტონ ჩვენი ძალები.

მათ ესროლეს ბომბები ლენინგრადში აქტუარად მომუშავე კომუნისტებს, ისინი აწყობენ თავდასხმას ჩვენს ბელადებზე, ისინი ცდილობენ გადასწვან ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები.

მათ სურთ მოაწყონ ახალი სისხლისმღვრელი ომი.

ჩვენ არ გვინდა ომი. მუშებისა და გლეხების ხელით დავიჭრათ ჩვენთვის.

მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ომისათვის.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ ყოველი შეგვევის დროს შეგვეძლოს უკუვაგდოთ მტრის თავდასხმა ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ შეგვეძლოს დავიფაროთ და შევინარჩუნოთ საბჭოთა ქვეყანა.

პიონერი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მას არ შეუძლია თოფით ხელში დაიცვას საბჭოთა ქვეყნის საზღვრები. მას არ შეუძლია წავიდეს წითელი არმიის რიგებში, თავის მამებთან და უფროს ძმებთან ერთად, მოწინააღმდეგეთა იერიშის უკუსაგდებლად.

მაგრამ პიონერს შეუძლია დაეხმაროს თავის ქვეყანას თავდაცვაში.

რამდენადაც ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა რამდენადაც უფრო განვითარდება წარმოება და სასოფლო მეურნეობა, რამდენადაც უფრო მეტად ვიქნებით ცოდნით აღჭურვილნი, — იმდენად მეტად უნარი და შეძლება გვექნება წინააღმდეგობა გაუფრთხილ ჩვენს მტრებს მშრომელთა ქვეყნის მოსპობის საქმეში.

პიონერი მზად უნდა იყოს ომისათვის.

ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიურო შეგეძგ დავალებას აძლევს ს. ს. რ. კ. პიონერებს:

საბჭოთა ქვეყნის მძიმე წუთებში, ომის საშიშროების მომენტში — პიონერებო, იყავით მზად

თვითეულ პიონერო, იყავ მზად და განსოვდეს

1. უნდა იყო დისციპლინიანი, დაკისრებულ საქმის სისწორით აღმსრულებელი, უნდა ასრულებდე ყოველ მოცემულ დავალებას.

2. პირველი უნდა იყო ქალაქში შრომითს მუშაობაში, სოფელში კი სოფლის მეურნეობის აწესრვაში. უნდა იჩენდე ინიციატივას ყოველ საზოგადოებრივ საქმეში.

3. ყურადღებით უნდა კითხულობდე პიონერთულ ჟურნალ-გაზეთებს.

4. შენი ორგანიზმი უნდა გამობრძმედო, რომ იყო ჯანსაღი.

5. უბედური შემთხვევის დროს უნდა შეგეძლოს პირველი დახმარების აღმოჩენა.

6. უნდა იცოდდე მწყობრი, ტოპოგრაფია, სიგნალიზაცია.


7. მონაწილეობას უნდა იღებდე მსროლულ წრეებში, იცოდდე წესები ქიმიური თავდაცვისა, აგრცვლებდე ჰაერობლანების მოდელების საქმეს დაღვივებდე რადიომოწყობულობას.

8. უნდა ეცადო, რომ წითელი არმიის დფლოტის სიმბატია და სიყვარული გააღვივო ხალხში

9. მკიდროდ უნდა დაიჭირო კავშირი მთელ ქვეყნის პიონერებთან.

მუშათა საქმისთვის საბრძოლველად იყავ მზად. საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. არსებული ნორჩ პიონერთა ცენტრ. ბიურო.

ქ ა ლ ა ქ ი ნ ა ვ ე ბ ზ ე .



შანხაიში, გარდა ჩინეთის და უცხოეთის უბნებისა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ დიდ ქალაქებს მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებით, არსებობს კიდევ ვერეთწოდებული ქალაქი ნავებზე, რომელიც მდინარე იანციზე მდებარეობს.

შანხაიში ზღვით, გემით მისვლისას, პირველ რიგში ეცნობით ამ იშვიათ ქალაქს ნავებზე.

ვერც კი მოასწრებს გემი ლუზის ჩაგდებას, რომ მას ყოველი მხრიდან ერტყმის ასობით გრძელი, ქრელი ნავი, ბრეზენტით გადაფარებული. ნავის შუა ადგილას არიან ჩამოგლეჯილი და ჩამოღვლილი ჩინელები.

შემოერთყმიან რა სამკზავრო გემს, ნავების მცხოვრებლები ასწევენ ზევით ხელს მოწყალების სათხოვნელად, საწყლად და გულშემაზარავად ხმა-მალლა გაიძახიან:

— ჩუ-ჩუ ლი, ჩუ-ჩუ-ლი, ჩუ-ჩუ-ლი!... ეს სიტყვები ნიშნავს: „მოგვიახლოვდით, მოგვეხმარეთ, გადაგვარჩინეთ“.

მკზავრები მიისწრაფიან ნაპირისაკენ.

მათხოვარი მოხუცების და ბავშვების შესაბრა-ლისი გამოხედვა მწუხარებას იწვევს, ბევრი აძლევს ჩინელებს დახმარებას, ვისაც რა შეუძლია: ფულს და სხვ.

რომ მოწყალება არ ჩავარდეს წყალში, მათხო-ვრები გემის ბაქანისაკენ მიმართავენ ბადეს, რომელიც მობმულია გრძელი ბამბუკის ჯოხზე; მასში დებენ მოწყალებას.

სწრაფად ამოალაგებს რა ჩინელი ბადიდან მოწყალებას, კვლავ მიმართავს მას გემისაკენ, იჩოქებს მუხლებზე და კიდევ უფრო დამწუხრებულად და ხანგრძლივად ყვირის:


— ჩუ ჩუ ლი, ჩუ-ჩუ-ლი, ჩუ-ჩუ ლი...

დედასთან და მამასთან ერთად „ჩუ ჩუ-ლის“ გაიძახიან პატარა, ტიტველი, ტროპიკული მზისაგან დამწვარი ბავშვები, ისინი ეცემიან მუხლებზე, ურტყავენ თავს ნავის იატაკს, ირტყავენ ხელებს თავზე და გულზე, დახოხავენ ხელებით, სტირიან და ყვირიან.

ჰაერი აუწერელი ტირილით და მოთქმით ივსება.

ასე გრძელდება რამოდენიმე წუთს.

შემდეგ გემის ბაქანს უახლოვდება ინგლისის სანაპირო კატერი, რის შემდეგაც ნავებს უკვე აღარ შეუძლიათ გაჩერდნენ გემთან, და ყველა ისინი მისტურავენ სხვადასხვა მიმართულებით.



თხოვლობენ მოწყალებას.

ამის შემდეგ მოწყალებას ისვრიან ზღვაში, რაც ზღვას დენის მიმართულებით მიაქვს. მისკენ არის მიპყრობილი რამოდენივე ნავი და მათზე მყოფთა თვალები; ხშირად იწყება ბრძოლა საჩუქრის მისა-საკუთრებლად. თუ ნავები ერთსადიმავე დროს მი-უახლოვდებიან, მაშინ მათხოვრები გადახტებიან წყალში, იჭერენ ნაჩუქარ მოწყალებას კბალებით და მიაქვთ თავისათვის.



შემდეგ ნავები მიემართებიან ქალაქის მიმართულებით. მიადგებიან ჩინურ და იშვიათად კი უცხოეთის უბნებს. აქ მშობლები გადმოსვამენ თავიანთ შვილებს: ისინი მიძვრებიან სახლებში მოწყალეობისათვის. მაგრამ ეს მუშაობა არც ისე ადვილი საქმეა: „მენავეებს“ ცემა-ტყეპათ უმასპინძლებიან ქალაქის მათხოვრები, რომლებიც მათში თავიანთ მოქიშვებს ხედავენ.

მათხოვარი ბავშვის ყველაზე უფრო საშიში მტრები არიან პოლიციელები—ინდოელები, ინგლისელები და ჩინელები. ისინი, დაინახავენ რა „მენავეებს“, პატარა ქალებს და ვაჟებს, დაედევნებიან მათ ჯოხებით, სცემენ და ყველაფერს ართმევენ შეშინებულ ბავშვებს.

თუკი შესძლეს ბავშვებმა გაქცევა, მაშინ ისინი სწრაფად სხდებიან ნავებში და თვალის დახამხამებაში შორდებიან ნაპირს, რითაც თავს ახწევენ სასჯელს...

ასე ატარებენ ისინი ზამთარს და ზაფხულს, მთელ თავიანთ ცხოვრებას...

ნავებში იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან მათხოვრები

ხშირად ეროსდიმავე ნავებში შეიძლება ნახოთ სამი თაობა — შვილები, დედ-მამა და დიდელა და პაპა.

ესე ამინდში, საშინელი ტაიფუნის დამეგობრებაში ნავების მცხოვრებლები შიშით ვერ ხუჭუნებენ თვალს, ისინი ებრძვიან სასტიკ ბუნებას თავისგან დასარჩენად.

ხშირად ასეთს ამინდს ნავები გაჰყავს ქალაქსაგან ათეული ვერსის მოშორებით, ზღვაში, სადაც ისინი უმეტეს შემთხვევაში კიდევ იღუპებიან...

ასეთია „ნავების ქალაქის“ მდგომარეობა, ასეთი ცხოვრება შანხაიში, რომელშიაც ამავე დროს ცხოვრობს მრავალი უცხოელი მილიონერი, რომლებსაც უფრო უყვართ და უფრო სცემენ პატივს თავიანთ ეზოს ძაღლს, ვიდრე მათხოვარ ადამიანებს, ჩინელებს.

ბ. ოლენიძე.

პ ი ო ნ ე რ ი ბ ი ს ს ი მ ლ მ რ ა .

ქუჩებში ჟივილით მივდივართ
ნაბიჯთა რიგ-რიგად წყობაში;
მომავლის ერთგულნი შეაღნი ვართ,
ვიზრდებით მშრომელთა ძმობაში.

სისხლისფერ დროშების შრიალით
ქალაქის მოედნებს ვედებით;
თუ ატყდა ზარბაზნის გრიალი,
მტრებს დავცემთ უღრეკელ მკერდებით.

ჩვენ გვიყვარს ქვეყანა შრომისა,
გვიტაცებს ქარხნების გუგუნნი,
გვაძნევენ ნალარა ბრძოლისა,
რომ ვაქროთ ღამე და უკუნნი.

ცამ როგორ გაიკრას ბინდები,
როცა მზეს თვალეებში ვიშენებთ!
ჩაგრულთა იმედად ვინთებით
მსოფლიო გრიგალის წინაშე.

ყველას, ვინც შრომაში მორცხვია,
გარიყავს ცხოვრების ნაპირი;
მუშების სისხლი და ხორცია
დიადი საბჭოთა კავშირი.

მზიანი სიცოცხლის წყურვილით
ვიშლებით კომუნის მცველები;
გვეზრდება ბრძოლების სურვილი,
სისხლით რომ მორწყულან ველები.

წითელი დროშების შრიალით
ქალაქის მოედნებს ვედებით,
თუ ატყდა ზარბაზნის ხრიალი,
მტრებს დავცემთ უღრეკელ მკერდებით.

ქუჩებში ჟივილით მივდივართ
ნაბიჯთა რიგ-რიგად წყობაში;
მომავლის ერთგულნი შეიღნი ვართ,
ვიზრდებით მშრომელთა ძმობაში.

ჟ. ვარლამიძე.

პერსპის ქვეშ



III

(დასასრული).

შუადღემ მოატანა და პიონერები ტყიდან გამოვიდნენ, დალაგდნენ ნაცნობი ვერხვის ქვეშ და შეგროვილი მასალის დაჯგუფებას შეუდგნენ: ცალკე ფოთლები, ცალკე ნეკრები, ყვავილები, სოკოები, ნაირი ფერების კენკები და სხვ.

ამასობაში საკმაოდ დრო გავიდა და ბოლოს ძლივს გამოჩნდა თედოს ბუღა, რომელიც საქონელს წინ მოუძღოდა. საქონელს მუცლები შემობეროდა, ზღაზღანი მოდიოდნენ ცოხნით, დამძლარიყვენ.

მეიკებენ პიონერები, წამოუარეს აქეთ-იქიდან საქონელს და, ყელსაკიდებით დამფრთხალნი, ალაზნში შერეკეს. ხარბად დაეწაფა მწყურვალნი საქონელი ალაზნის ანკარა წყალს, შეუტურდა. თედო კი მობრუნდა, ჩაჯდა პიონერებში და თვალთვლიერება დაუწყა შეკრებილს მასალას.

— ე, რათ გინდათ, გიგლა, რო აგროვებთ? თუ ვგრე საჭირო იყო, შამამითვლიდით და ერთს ზურგს ამოგიტანდით ყველაფერს სოფელში, — უთხრა თედომ გიგლას.

— არა, თედო, აქ ჩვენი თვალთვა ვნახეთ ყველაფერი და ახლა სკოლაში რომ ავიტანთ, დავაკერებთ კარდონზე და შევინახავთ, გამოგვადგება გაკვეთილის ახსნის დროს, — დარიგების კილოთი აუხსნა გიგლამ.

— ეჰ, ნეტავი თქვენა, რო ნაჰწავლები გამოხვალთ, — ამოოხვრით წარმოსთქვა თედომ.

— რატომ შენ კი არ შემოხვალ სკოლაში, თედო? — შეეკითხნენ ბავშვები აქეთ-იქიდან.

— ეპი, წავლისთვის ვინ მომაცლევინებს მე? დღე და ღამე საქონელში ვარ და იქნება წელიწადი გავიდეს, რო სოფელში ვერ ავიდე. დედაჩემს

კი უნდა სკოლაში ჩემი მიზარება, მაგრამ ხელმოკლეობამ ყველაფერი იცის.

— მარტო საქონელს უვლი, თედო?

— ჰო, მაგრამ მუშაობა სხვაც არი; გაზაფხულზე ღამის მეხრედ ვიყავი, როცა ვხნამდით, შამოდგომიხეც და ეხლა კი დღის მეხრედ ვარ.

— რომ მოგიხერხოს ვინმემ, თედო, სკოლაში შეყვანა, რას იტყვი?

— რას ვიტყვი და მაგას რაღა ემჯობინება, მაგრამ დედაჩემმა რაღა ჰქნას? აქ რო ვარ, ამის ჯამაგირში 4 დღის ანუელს გვიხნამენ ხოლმე და თვეშიც 3 მანეთს მაძლევენ.

— მოიცა, თედო, მოიცა, იქნება ჩვენმა კოლეკტივმა რაღე გიშველოს.

— აბა, რა ვიცი, ასე კია საქმე და... მართლა, ძია სოლომანამა თქვა თქვენზე, სოფელ-სოფელ დადიან დოლის ბრახუნიაო და რაღაცა სახელი თქვა, ისა ჰქვიანთო.

ბავშვებს გაელიმათ, გიგლამ მოინდომა კიდევ გაეცნო თედოსთვის საქმის ვითარება, მაგრამ ვანომ დაასწრო და დაწერილებით განუმარტა პიონერობა, მისი მნიშვნელობა და საქმიანობა.


თედო ისევ ფიქრებმა გაიტაცა.

— რას დაფიქრდო, თედო! — ჰკითხა გიგლამ.

— იმას დაფიქრდი, რო რა კარგა ხართ მოწყობილი, რა კარგია თქვენთან ყოფნა!

— თუ კარგია, შენ მოინდომე და ჩვენ დაგეხმარებით, საქმეს მოგიწყობთ ჩვენთან შემოსასვლელად.

— ჰოი, თუ მაგას მოახერხებთ, თქვენ გენაცვალეთ, რა ვიცი, რას მეტყვი, არ ავასრულო! — წა-



მოიძახა აღტაცებულმა თედომ.

ბავშვებმა არ დააყოვნეს, მეთაურს შემოეხვივნ და სიტყვა ჩამოართვეს, რომ თედოს საქმეს როგორმე მოაგვარებდა.

— აი, ის რა ბოლი ამოდის? — დაიძახა ალაზნის ნაპირას მდგომმა ქეთომ და ხელი გაიშვირა მდინარის გაღმა.

— ეგ რომელიმე სოფელია, — დაიწყო მეთაურმა, — დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებული სოფლებია ალაზნის გაღმა;



პიონერები დაგროვილი მასალების დაჯგუფებას შეუდგენ.

რათ გადმოსახლეს? — იკითხეს ბავშვებმა.

— იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოში დიდი ვიწროობა იყო, მიწის სიმცირე, და ალაზნის მარცხენა ნაპირი კი დაუსახლებელი იყო.

— არა, ეგ ბოლი ხოშატანში ამოდის, — შენიშნა თედომ, — ის ძველი სოფელია.

— მერე საიდან იცი? — შეეკითხა მეთაური.

— საიდანა და რამდენჯერ ვყოფილვარ გაღმა! სახნავად გავალთ ხოლმე; ისეთი კაი მიწებია, რა რა შეედრება! გამოღმა მიწები მწირია, მოსავალს ცოტას იძლევა, იქ კი დღიური 15 კოდს ამეტებს, — განმარტა თედომ და განაგრძო:

— ეგ ბოლი სწორედ ტრაქტორებთან ამოდის, მუშებს დაუნთიათ ცეცხლი. ჰეჰეი, რა ამბავი იყო, პირველად რო-მოიტანეს!

— რა, რა, რა, სთქვი, თედო... გაუხარდათ პიონერებს.

თედოს თხოვნა არ უნდოდა, ოღონდ რითიმე ესამოგვებინა სტუმრები.

— რა და, ეგ სამი ტრაქტორი ჯერ გამოღმა მუშაობდა და პირველად რო გუგუნით ჩამატარეს, კინაღამ დავგიჯდით, ქუხილი გვეგონა ჯერო, მაგრამ ის კი ყოფილიყო. ვეცით მებინავებები, აყყევით, აბა, რას მოვშორდებოდით. და ხალხი კი რო გენახათ, სწორედ დღეობა გეგონებოდათ. ხალხი გაკვირებას იყო მიცემული, ტრაქტორი კი მიდიოდა არხენად და ასეთს ბელტებს აბრუნებდა ი ძველ ყამირზე, რა რაღა გითხრათ.

— ახლა თედო ტრაქტორი ბევრი გვაქვს, ქვეყანას ეშველება, მიწები მრავლად მოიხვენება, უთხრა მეთაურმა.

— მრავლად მოიხვენება, მა რა! რა გაუჭირდება ტრაქტორს; ე ჩემი ყორმიზა ხარიც მოიხვენებს, თორემ ქანცი აქვს გამოღეული უღლითა.

აი, თქვენ რო დახსულ მიწებზე ჩამოიარეთ, აბა ეგ მიწები ვის უნახავს მოხსული? სოლომანა ძიამა თქვა, ვინ მაიფიქრებდა, თუ მაგ გაქვავებულ მიწებს სახნისი მიუღებოდაო. აგე, ეხლა გაღმა ანეულეგსა ხნამს.

— ახლა კიდევ თამარის არხი რომ გამოყავთ, თედო, ახლა ისა სთქვი, — ჩაუბოლო ვანომ, — გაუხურობიათ მუშაობა.

ჰო, ზედ ჩამაივლიდით არხზე; რამდენჯერა ვყოფილვარ, გურჯაან-ვეჯინის ბოლომდისაა მოყვანილი კიდეცა. მანდ რო წყალმა გამოიაროს და ე ტრაქტორებიც დატრიალდენ, აბა მოსავალი არ მოვა? აი, მაშინ გვეშველება და რაღა დაგვადონებს, თორე თქვენ თითონა თქვით, ვხნამთ და ე ხარკამეჩით ამოდენასა ვწვალობთ, და მოსავალი კი ჩირადაც არ ღირს.

— მაშ გაუმარჯოს ტრაქტორს და არხს, — დაიძახა ზაქრომ.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, — დაიძახა ყველამ ერთბაშად, თედომ ქუდიც კი მოიხადა და ზარალამ კი ყეფა მორთო, თითქოს მიხვდა, რაცა ხდებოდა მის გარშემო.

— ამ დღის მოსაგონებლად, — გაბრწყინებული თვალებით წამოიძახა თინამ, — მე ალაზანს დავხატავ.

— მე კიდევ არხსა, — დაუმატა თამრომ.

— მეც დღევანდელ დღეს ავწერ და ჩვენს ჟურნალს „პონერს“ ვავუზავნი, — სთქვა კოლამ.

ჩვენ ყველანი კი ვეცდებით მშრომელი ხალხის სასარგებლონი ვაყოთ, ჩვენი სწავლით გამო-


ვადგეთ მას და დღევანდელი დღის აღსანიშნავად თედო ჩვენს კოლექტივში შემოვიყვანოთ და პიონერად ვაქციოთ, — წარმოასთქვა მეთაურმა და მისი სიტყვები საერთო „ვამას“ ძახილმა დაფარა.

ვახარებულ თედოს ბედნიერების ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე.

დ. კარბელი.



ქ. ცაგერის პირველი და მეორე პიონერ-კოლექტივი (ლერხუმის მაზრა).



პ ა მ გ ე რ ი ლ ი უ ს ი

— შენ, ეი, ლიუსი, აგერ!
გასძახა მოხუცმა ჟაკომ პატარა იუნგას¹⁾, რომელიც მოაჯირს გადაჰყუდებოდა და პურის ნამტვრევებს უყრიდა ხომალდს ადევნებულ ზღვის ონაგრებს...

ჟაკო დონიჯ შემოყრილი იდგა და ჩიბუხს აბოლებდა...

მან ხელი გაუშვირა ხშირი კუნძულებისაკენ, რომელსაც ნისლის მანტია ეხდებოდა აქოჩრილი ნელი ქარის შეტევით...

ლიუსიმ ყურები სცქვიტა, სახე გაუნათლდა...

— ძია ჟაკო, შევივლით ლინგაენის ნავსადგურში?

იკითხა მან და მარდად, ციყვივით აირბინა ანძახე თოკის კბით, რომ უფრო კარგად დაენახა თავისი სამშობლო კუნძული ლიუსონი.

— არ ვიცი... შეიძლება მანილიოსს კი შევიაროთ...

მიუგო მოხუცმა მეზღვაურმა.

დილაა...

მზე წითელი სიცილით ამოგორდა ზღვიდან, თითქოს აუზში ბანაობის შემდეგ, და ცის ლურჯ სარკეში დაიწყო ყურება; აბრეშუმის თმებივით გადააფინა სხივთა მძივები ზარმაზა ზვირთების ფერად ლეჩაქს...

ხომალდი ამაყად მიპაობდა ტალღებს...

იგი უკან სტოვებდა წყნარი ოკეანის უსაზღვროებას და შედიოდა სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში...

მან მარჯვნივ დასტოვა კუნძული ფორმოზა, მხარი აუქცია, და მარჯვნივ აიღო გეზი, ფილიპინის ხშირი კუნძულებისკენ...

მეზღვაურები მუშაობდნენ, ყველა თავის ალაგზე იყო...

— მაშ არ შევივლით, ძია?—გადმოსძახა ბიკმა მალლიდან...

— არ ვიცი, შე თხუნელავ, რას ჩამაცივდი?... კაპიტანი მარიო გუშინ ამბობდა, რომ პირდაპირ

სიამს მივდივართ, ინდო-ჩინეთში, ერთ კვირას დავრჩებით ბანკოკის ნავსადგურშიო; შეიძლება ანამშიც შევიაროთ, გიუეში, მიუგო ჟაკომ და პირის ბანვა იწყო.

ლიუსის გული დასწყდა...

მაშ ვეღარ იხილავდა იმ მხარეს, რომელიც ასე ახლოს იყო უკვე და რომელიც ორი წელია რაც დასტოვა; სადაც უყვარდა ხოლმე ჭყუმპალობა და თევზაობა ნავსადგურის ახლო.

ის გაიტაცა თავისი ობლობის სურათებმა...

— სად აჩახულხარ, შე... ჩამოეთრიე ძირს!

უყვირა კაპიტნის თანაშემწემ, რა კაიუტი ტიდან ამოვიდა, ლიუსის, რომელზედაც გადაკიდებული იყო და ეჯავრებოდა, მტრობდა, სტუქსავდა მას შემდეგ, რაც ლიუსიმ ერთ დღეს ფეხსაცმლის დროზე გაწმენდა დაუფიანა; თანაც ჟაკო არ მოსწონდა ლინკოლნს, უღრენდა ხოლმე, როგორც ურჩ ბებერს, რომელიც არაფერს შეაწვდებოდა, მუდამ პირდაპირ შეეხლებოდა. ამის გამო ლიუსიც შეიძულა, როგორც ჟაკოს შვილობილი.

პატარა მეზღვაური აცახცახდა ლინკოლნის თვალთა ბრიალზე და მამობილს გადახედა...

ჟაკომ იგრძნო, რომ პატარა იუნგას ეს გადმოხედვა იყო გამოსარჩლების თხოვნა, რჩევა...

მან ჩიბუხის გამობერტყევას თავი მიანება.

— ჩამოდი, ლიუსი, ჩამო, — ასძახა გულმოკლულმა და უკმაყოფილოდ შეხედა ლინკოლნს.

— რას მიბღვერი? — შეუტია მან.

— არაფერს, ისე... ბავში, რა ვუყოთ, რომ ავიდა? იუნგაა, მომავალი მეხომალდე, ზღვაოსანი, სწავლობს, — უთხრა უკმაყოფილო ჟაკომ.

— მე ვასწავლი მაგას იუნგობას! — დაიმუქრა უფროსის თანაშემწემ, და რა უნდა გაბრუნებულიყო ბაქანზე მეზღვაურთა დასათვალისწინებლად, მოესმა ჟაკოს სიტყვები:

— არ შეიძლება ეგრე, ლინკოლნ, თქვენ რომ ექცევით ბავშვს: უყვირით, უჯავრდებით, სტო!

¹ მეზღვაური.



რას გადაგიკიდეთ, რა დაგიშავათ? ეს ხომ პირველი არაა თქვენგან... ცოდაა...

— ეგ შენი საქმე არაა, ქოფაკო! — უყვირა მან. ჟაკო აენტო...

ყველა მეზღვაურს სძულდა ლინკოლნი, რადგან უდიერად ეპყრობოდა მათ, და რა ეს ხმაურობა გაიგეს, შესდგენ, ყურება დაუწყეს, შედეგს ელოდნენ...

— ბებერი ტურა! — უყვიროდა ჟაკოს ლინკოლნი.

ჟაკოს თვალი დაუბნელდა, აცახცახდა სიბრახისაგან, თავს ძლივს იჭერს.

— ზღვაში! — იყვირა რომელიღაც მატროსმა, და განა ეს სიტყვა ჟაკოს არ მიუთითებდა ლინკოლნის გადაგდებას? ეს ხომ მეზღვაურთა ძახილია არასასურველი პიროვნების თავიდან მოსაშორებლად.

ჟაკოს ამ სიტყვის გაგონებაზე გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა, როდესაც ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში იყო, საფრანგეთში, გემზე, რომლის უფროსიც, ვერჟე, რალაცაზე აუხირდა, გალანძლა და რა ყოველი ეს არ იკმარა, სილაც გააწნა. მაშინ კი ველარ მოითმინა, ეცა თავისი ღონიერი მკლავებით და... ზღვაში ტყლაშანი მოაღინა ვერჟემ...

მაშინაც ხომ ასევე უყვირა რომელიღაც მეზღვაურმა?

მას ამ საქმეზე ხომ კატორღა გადაუწყვიტეს, ახალ კალედონიაში ¹⁾ გაგზავნეს სამუშაოდ, სადაც გაატარა თავისი ახალგაზრდობა, საიდანაც მხოლოდ ეს ხუთიოდ წელია, ამ სიბერის დროს, გამოიქცა და ოკეანეთა კუნძულებზე ატარებდა დღეებს, აფარებდა თავს, ვიდრე გემი დადგებოდა ამ ორი წლის წინეთ ფილიპინზე, და ისევ აღიმართა მისი, თუმცა მოხუცის, მარა ჯერ კიდევ ღონიერი მკლავები...

— ოოხ! — აღმოხდა მას გამწარებული რისხვა...

— შემდექ!!! — შეჰყვირა ლინკოლნმა და, ერთი ნაბიჯის უკან დახევით, მის ხელში იელვა რევოლვერმა...

ლიუსიკი, რომელიც აქამდის უხმოვად ადევნებდა თვალყურს და თან ჩამოდიოდა ძირს, რა ძიხზე მიშვერილი რევოლვერის ლულა შეამჩნია ლინკოლნის ხელში, იფიქრა, ძიხს მომიკლავსო და თვალები აენტო, ისკუბა კიბიდან და ლინკოლს მკლავზე დაეცა; ცალი ხელით ჩამოეკონწიალა, მეორე რევოლვერს სტაცა...

1) საფრანგეთის კუნძულია ავსტრალიის ახლოს, სადა მანამდე იმყოფებოდა საკატორღო ტუსაღები.

მეზღვაურებში შეიქნა ჩოჩქოლი, შემოეხვიენ... ჟაკო შეაჩერეს...

II.

ლინკოლნი გაათრდა, იუკადრისა ბავშვის ასეთი გაბღვა და რამდენიმეჯერ წიხლი ჰკრა, მაგრამ ლიუსი ახლა ორევე ხელით ჩაებჯაუჭა. ლინკოლნი ცდილობდა მკლავის განთავისუფლებას ლიუსის ხელებიდან, სცეკდა, მაგრამ ლიუსი ახლა კბილებითაც ჩაფრინდა კატასავით, რევოლვერას წართმევა უნდოდა...

ლინკოლნს ემწარა, მკლავი მძლავრად გამოიქნია, და ამ ძიძგილში რევოლვერს ფეხი გამოეშალა, იჭექა...

ჟაკო იბრძოდა რამდენიმე მეზღვაურის ხელში; არ უშვებდენ...

— შესდექი, ჟაკო, ჩვენ დროს ვუხელთებთ მაგ მხეცს, — გადაუჩურჩულა ადანელმა ჰასანამ.

— რა ამბავია? შეჩერდით! — იყვირა კაპიტანმა მარიომ, რომელიც ამ ჩოჩქოლზე და რევოლვერის ხმაზე შეშფოთებული გამოვარდა თავისი ოთახიდან.

— რა და ამბობება! — მიუგო თანაშემწემ, რომელსაც მარმარაილოს ფერი ელო შიშისაგან და უკან უკან იხევდა, რევოლვერის მიღერით იგერებდა რამდენიმე მეზღვაურს, რომელნიც უტევდენ მას...

— რაო?! — იყვირა მარიომ.

— დაიწალენით! ყველა თქვენ თქვენ ადგილზე, — გასცა ბრძანება.

ტყვია ბაქანის ფიცარს ჩაეჭედა...

ლიუსი ბისკვიტების ყუთს აეყუდა...

მას ფერი მისდიოდა, ყვითლდებოდა, სუსტდებოდა...

— რაა, ლიუსი, ხომ არ დაიჭერ? — შეეკითხა ჩინელი სიუ-ფუ თანაგრძნობით.

— არ ვიცი... ძიხ სადაა? — იკითხა მან.

— აქა ვარ, ჩემო საბრალო ბიჭუნო, — უთხრა ჟაკომ, რა გაიბრძოლა და ამხანაგებს გაეშვებინა.

მოვიდა, მოეხვია...

— ძიხ, ხომ არაფერი მოგივიდა? — მერამდენიმეჯერ ეკითხებოდა ბავში.

— არა, შეილო, წამო აქეთ. ხელი დაუჭირა წასაყვანად და რა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ლიუსიმ, ტკივილი იგრძნო, კოჭლობა იწყო...

ვიდრე ცხელი იყო ჭრილობა, ვერაფერი იგრძნო, მაგრამ რა ვაცოდდა, მაშინ კი...

— რა იყო, ლიუსი?

— არ ვიცი, აი, აქ მეწვის, — მიუგო და ფეხზე ანიშნა.

ჟაკომ ხელში აიტაცა... სისხლი სდიოდა ლიუსის...



— დაქრილი ყოფილხარ, ჩემო ბავშო, — შეწუხდა ჟაკო. მეზღვაურები ამან უფრო ააღელვა.

— ჯალათი! მხეცი... მოგვაშორეთ აქედან... ყვიროდენ ისინი.

კაპიტანი ამშვიდებდა აღელვებულთ:

— კარგი. გამოვიძიებთ, ყველა თქვენ თქვენს ალაგს... გასწით... ეუბნებოდა ის.

— შენ კი, მოხუცო, პირველ ნავსადგურშივე დასტოვებ ხომალდს, — მიუბრუნდა კაპიტანი ჟაკოს და უახრა, მაგრამ იმას არ ესმოდა, ის ლიუსის უფოიდა.

— ეგ არ შეიძლება, კაპიტანო, — ჩაერია ჰასანა გაუბედავად.

— რაო?! გასწი აქედან! — შეუტია მარიომ.

— განა ეს მოსათმენია? განა ეს ადამიანობა? ამბობდა სიუ-ფუ და დაქრილ ბავშვზე მიუთითებდა.

— რაა? — იკითხა კაპიტანმა.

— აი რა, — მიუთითა ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელიც ჟაკოს შველოდა ბავშვის ფეხსაცმლის გახდაზე, სისხლის მობანახე.

— როგორ?! — გაიკვირვა კაპიტანმა, რომელმაც მხოლოდ ახლა შეამჩნია დაქრილი ლიუსი.

ხომალდის მსახურნი ღელავდენ...

III.

— ლიუსის სძინავს?

— ჰო, ნუ შეხვალ... ექიმმა კარგად შეუხვია ქრილობა... არა უშავს-რა, გაბედულად იტანს ტკივილს, — უპასუხა ჰასანამ ჟაკოს შეკითხვაზე, რა კაიუტიდან გამოდიოდა და შეხვდა კიბეზე ჩამავალს.

კასრებს უკან ჩამოსხდენ.

ჟაკომ ჩვეულებრივ თავის ჩიბუხს მიმართა, რა ჰასანამ თამბაქოს ხავეა იწყო ქალღღმითი.

ბოლი აიზლანა...

გააბეს ლაპარაკი...

— დიახ, კუნძულების მცხოვრებნი დრტვინავენ დამპყრობელების წინააღმდეგ... ისინი დღეს თუ არა, ახლო მომავალში მაინც ააფრიალებენ აჯანყების დროშას, — ეუბნებოდა ჟაკო.

— სსუ, ჩემად; არ გაგიგონ...

გააფრთხილა ჰასანამ და ირგვლივ მიმოიხედა.

ისინი ვერ ამჩნევენ, თუ გვერდზე, ყუთების ამოფარებით, ლინკოლნი იჯდა.

IV.

ლინგაენის ნავსადგურის შუქურა გამოჩნდა...

ხომალდმა ღუზა ჩაუშვა.

— აბა, კაპიტანო, გამისწორდით ჯამაგირს და გადავალ...

გულდაწყვეტით ემშვიდობებოდენ მეზღვაურნი მოხუც ჟაკოს და ყველას საყვარელ ლიუსის ჰასანამ და სიუ-ფუმ მიაცილეს ადგილამდე.

— აბა, შენ, პატარა იუნგა, მალე მორჩი და რომ გამოვივლით, შენებურად მარდად ამოხტი ისევე გეშე, — უთხრა ჰასანამ, ხელი ჩამოართვა და აკოცა.

— ყოჩაღად იყავი! — უთხრა სიუ-ფუმ იმედინად.

ჟაკო მას ხშირად უამბობდა მდიდრების სისადაგლეზე, ამერიკელების გაიძევრობაზე, თუ როგორ ავიწროებენ ისინი დაპყრობილ ხალხებს, აგრეთვე მის სამშობლო კუნძულს...

გამოემშვიდობენ ჟაკოსაც ..

— არ დამივიწყოთ, — უთხრა ლიუსიმ სარეცელიდან, რა ისინი გადიოდენ კარში, და ხელი დაუჭნია ღიმილით.

მათ შემოსტინეს, გაამხნევეს...

გადიოდა დღეები; ლიუსი მალე გამოკეოდა...

ბავშვს თვალები აენტებოდა, მუშტებს უფრო მოკუმშავდა და მარჯვენა ხელის მალლა აწევით ამბობდა:

— მე დავრჩები ჩემ სამშობლო კუნძულზე, რომ თავი მოფუყარო ჩემებრ უბედურ ქუჩის ბავშვებს, მე ვეტყვი სუყველას სიმართლეს, მე იმათგან შევქმნი უკმაყოფილოთა ლეგიონებს და ავაფრიალებთ აჯანყების დროშას!..

ჟაკო სიხარულით შესცქეროდა პატარა მებრძოლს..

სეზმან ერთაწმინდელი



იაპონელი ბავშები.

სუთი მდინარის სათავეში.

ქახეთი — პანკისის ხეობა.

ქართლის ზაფხულის მშემ, მოელვარემ და მცხუნვარემ, მომანატრა ყინულის მუზარადით შემოსილი კავკასიონის მთები. მის გადახრუკულ დედოფლის მინდორზე *) მუშაობის დროს წყურვილისაგან პირგამშრალი შევცქეროდი ბრუტსაბძელს, ზიკარის მწვერვალს და სხვა ბუმბერაზებს და ვნატრობდი იქ ყოფნას. ძნელია მთების შეჩვევა და სიყვარული, მთა მარად თავისკენ გიზიდავს, თან გსდევს განშორების სევდა და სინანული.

აი, მივწურე მუშაობა კიდევ, როდესაც დეპეშაჰ მაცნობა: „მივდივარ ბორბალოს მად მოვებში და კახეთში გიცდიო“. მწერდა ბოტანიკის ლექტორი ჩვენს უნივერსიტეტში, **ზაქარია ყანჩაველი**.

ბორბალოს მიდამოები!.. განა ამაზე საუცხოოვო მგზავრობა კიდევ შეიძლება! ამ მწვერვალთან თავის სათავეს იღებს კავკასიონის ხუთი მჩქეფარე მდინარე: ბარაქიანი **ალაზანი**, დინჯი **იორი**, კისკასა **არავცი**, მთის ორწოხებიდან ველზე გაქრილი **ყოისუ** და მქუხარე **არგუნი**. ამ მდინარეთა ხეობებში შესანიშნავი ხალხია: თუში, ფშავი, ხევსური, ქისტა, ლლიღვი, დიდო. ბუნება უჩვეულო: მრისხანება კავკასიონის, სინაზე ალპიური საძოვრების და ველების... მეცხვარენი თავისი ბინებით, თავისი დუხჭირი ცხოვრებით, თავისი შრომით და ბუნებასთან სასტიკი ბრძოლით...

ყოველივე ეს სინამდვილეში ჩემ თვალწინ გადავივლიდა, მეტყოდა იმდენს, რამდენსაც არცერთი მრავალფეროვანი წიგნი.

შევამზადე ყოველივე, ვეცადე არაფერი დამეწყებოდა: ნემსი და ძაფიც კი... მახსოვდა იალბუზზე გამყოლი მოხვეე იაგორ კახალიკაშვილის სიტყვები: „გზას კარგად შემზადებული უნდა გაუდგე, მეტადრე მთებში. პატარა დანაკლისს შეუძლიან დიდ ფათერაკს შეგახვედროს“...

მატარებელი მიჰქრის გარე კახეთის ფართე ველებზე. უკან რჩება ტფილისი, ზაფხულის ტფილისიც, სიცხით და მტვერით არც ეს ველებია სახალისო: გამხმარი მაღალი ურო თუ ბიბინებს და ირხევა ოდნავ მქროლავი ნიავის ფრთებზე. სამაგიეროდ წინ მთებია... კავკასიონის მთები...

აი, ალაზანის ველიც... ულამაზესი... შორს, უცბად ატყორცნილი ცის თალამდე — ლეკის მთები; ძირს — ველი, მოელვარე ალაზანით გადასერილი, ზაფხულის მშით აელვარებული...

გადაესვენა მზე... აელვარდა მთის მწვერვალი, ოქროსფერ სინათლეში გაეხვია მთელი კახეთი, ჩემს წინ ასე საოცნებოდ გადაშლილი. აი თელავიც, თელავი — ვენახების ზღვაში ყელმოღერებული.

ლამის ორი საათია, როდესაც ეტლით გავდივარ თელავიდან. ალვანში უნდა მივიდე. იქ მიცდიან. ცა — ვარსკვლავებით მოქედილი, ღრმა, დაუსრულებელი... შორს — მრისხანე დევებივით აყუდებული ლეკის მთის შავი სილუეტები, ასე საიდუმლოდ და უხმოდ რომ დასცქერიან თავის საძირკველს, ალაზნის ველს.

გავყურებ იდუმალობით სავსე ღამეს და გული სინაზულით ივსება: ასე იცის ზაფხულის ღამის ნიაგმა.

უცბად ცა გადახსნა ვეებერთელა ცეცხლის ბურთმა, ვეებერთელა ჩირაღდანმა, ააელვარა მაღლა ცა და ძირს ველი. ვარსკვლავებმა წუთით დაჰკარგეს ბრწყინვალეობა... ცის მეორე მხარეს ჩაქრა ეს ჩირაღდანი... ჩაქრა და თითქოს კომლში და ბურთულში გაეხვიაო... ცდამილი ვარსკვლავი იყო, გაქრა დაიშალა ათიათას მილიონ ნაწილად, მტვრად იქცა და ეს მტვერი მოეფინა სამყაროს; იქნებ მცირე ნაწილმა ჩვენს პლანეტამდეც მოახწიოს. ბევრი ღამე გამათენებია ცის ქვეშ და პირველად ვხედავდი ცდამილი ვარსკვლავის დაშლას, პირველი იყო ღამის ამ უდიდესი სილამაზის ხილვა... თვალი ველარ მომეცილებინა ცისათვის...

გავიარეთ ურდოს ხევი, ახლა დამშრალი, წვიმის დროს კი საშინელი რუისპირი — ძველი იყალთო... სიბნელემ დაჰკარგა ძალა, აღმოსავლეთი შეწითლდა, შევარდისფრდა აოქროვდა და პირველმა სხივმა მოინახულა კახეთი...

მივადექით ალაზანს... მღვრიე მოდის, შლაპით და სილით სავსეა მისი წყალი.


— თუშებმა სთქვეს: ალაზნის სათავეში მეწყერი ჩამოწვა და წყალი ზედ მიდისო. სანამ იმ მეწყერს არ გამოიტანს ალაზანი, წყალი არ დაწმინდავდება, — მეუბნევა მეეტლე და მართალსაც მეუბნევა: უწვიმოების დროს მდინარეს მხოლოდ ამიტომ თუ ექნება ასეთი ფერი.

*) დედოფლის მინდორი — მდინარე ფცის, ფრონესა და საღლაშნის ფრონეს შუა, ქართლში.



გავედით ალაზანს. წყალი ღრმაა, ეტლში ამოდის...

— ბევრი კაი ვაჟკაცი დაუღუპავს ამ ადგილებში, — უკვე მეორე ნაპირს მეუბნევა ალექსი... ამ გაზაფხულზეც დაახრჩო ერთი ვაჟკაცი: ცხენიდან გადმოიღო ადგილებულმა მდინარემ და გამოასაღმა სიცოცხლეს...



როგორ მივემგზავრებოდით პანკისის ხეობისაკენ.

ალვანი დიდი სოფელია. მთელი თუშები აქ ცხოვრობენ. წოვა თუშები — ზემო ალვანში, ჩაღმები — ქვემო ალვანში. ჩაღმანი — ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ. წოვათ ნათესაობა აქვთ დღიღველებთან (ესენი კავკასიონის მთებში ცხოვრობენ), მათი ენაც წაგავს დღიღველურს. დიდი ხანია მათ დასცილდნენ, ქართველებთან დასდეს ძმობა. დღეს ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ. არ არის ისეთი წოვა თუში, რომ წერაკითხვა არ იცოდეს. უმაღლესი სწავლითაც მრავალია (ამაზე შემდეგ). სულ ხუთასი კომლია და ზემო ალვანში ცხოვრობენ. მათი ცხოვრების წყარო მეცხვარეობაა. ამთაბარებენ ცხვარს, მთებიდან საზამთროდ ბარად მოუდიან. მათი ცხვარი ყიზლიარისკენ მიდის, აგრეთვე გუმბრისკენაც, ოსმალეთის საზღვრებზე... ასეთმა ცხოვრებამ შექმნა იშვიათი წმინდა ტიპი: მოსხეპილი ვაჟკაცი, პირდაპირი, გულადი, სიტყვა-პასუხიანი, ჭირის ადვილად ამტანი, ცხოვრობენ სუფთად, იცვავენ ასევე და ლაზათიანად. მოკლე ლევა ჩოხა, შავი ახალუხი, ფეხზე საცვეთები და ჩუსტი, ან ქალამანი, ქუდი — თუშური ნაბდის ქუდი... ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. მეცხვარეს — სხვა იარაღიც: თოფი და დამბაჩა.

ქალებს გრძელი კაბა, გარდან შავი ახალუხი, შავი წინსაფარი ფერხთამდე. გათხოვილთ — შავი მანდილი კოჭამდე.

ქალიც, კაციც — კარგი ცხენოსანი, შნოიანი. თუშში ზაფხულობით მთელი ოჯახობით მთაში მიდის ცხენით.

წოვანი — ტბათანაზე; სამოგზაუროდ სხვა რამ საშუალება არ არის. ხშირად მინახავს ვიწრო ბილიკზე მთაში მიმავალი ან მთიდან მომავალი ოჯახი, ცხენები, დატვირთული საოჯახო ბარგით. მაღალტანიან ქალს ერთი ცხენი ადვირით მოჰყავს. ცხენს დიდი ხურჯინი ჰკიდია, და ხურჯინიდან პატარა ბავშვებს ახოუყვით თავი. ბავშვთათვის ეს ყველაზე უფრო იოლი მგზავრობაა.

მიამბეს: ჩაღმა-თუში მიდიოდა ოჯახით მთაში. ბავშვები ხურჯინში ისხდნენ და დედას მიჰყავდა ცხენი... ერთ საშინელ ბილიკზე ცხენს დაუსხლტა ფეხი და გადაეშვა უფსკრულისაკენ... დედამ არ გაუშვა ადვირს ხელი, თან გადაჰყვა, იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ შეაყენა ცხენი, ფეხი მოაკიდებინა უფსკრულის კლდეებზე... ჩაემველენ... ბავშვები მცირედ დაშავებულიყვნენ. დედამ ხელი მოიტეხა, მაგრამ ბედნიერი იყო: შვალეები გადაარჩინა...

იყო შემთხვევა, რომ დაღუპულან კიდევ...

ახლაც ასეთი გზებია. ფართო და სწორი ქუჩით მიდის ეტლი, გზის ნაპირას ხის სახლები, ქდეულები, ხშირად ქვითკირიც... ეზოში არვინ ჩანს.


— მთიდან ჯერ არ ჩამოსულან. კაცსაც ვერ ვნახავთ, რომ ვიკითხოთ, სად მივიდეთ. ზაფხულში სოფელში არვინ რჩება, გარდა გვარის ყარაულისა, რომელიც სახლკარს და ბაღებს უვდებს ყურს. ყოველ თუშს აქვს პატარა ბალი მაინც... შემოდგომით ჩამოვლენ, საზამთროდ გაიმართებიან, მოსავალს ბალისას ამ დროს მოიწევენ მხოლოდ...

მაინც იყო თითო-ოროლა მოსახლე შინ: ადრე ჩამოსულან — წვიმიანი ზაფხულია მთაში... მივაგენით მასპინძელს, სოფლის თავში. იქ პოვნა ადვილი საქმე როდია: შორი-შორს ცხოვრობენ.

ალვანიდანვე ცხენებით ვაპირებთ წასვლას, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი მასპინძლების დიდი ცდისა, ცხენებს ვერ ვშოულობთ: მთაში არიან, ალვანში ამ დროს ძნელია ცხენის შოვნა.

გადავწყვიტეთ პანკისამდე ეტლით წასვლა... ჩვენთან ერთად მოდის თუში ლევანიც, ახალგაზრდა სტუდენტი...

მისი ბებია — ახოვანი, ქარმაგი ადამიანი, პირზე ღმით გვაბარებს თავის ლევანს: „ლევანს გამიფრთხილდით, ჩემ იმედს გატანთ. მაგისი მამა რომ მოჰკლეს ქუჩებში ყარსისკენ, ლევანი ჯერ არ იყო დაბადებული, ორი და ჰყავდა მხოლოდ... მარტო-



ხელა ადამიანმა გამოვხარდე... დებმა გიმნაზია გაათავეს. მიჯავრდებოდენ თუშები: ქალს სწავლა რათ უნდა, კაცმა უნდა ისწავლოსო. მე ჩემი გავიტანე... დღეს ჩემი ორივე შვილი ალვანის მასწავლებელია, ლევანიც მივაყვაცდება“—და სიყვარულით გადახედდა შვილიშვილს...

მოკლე იყო მისი ნაუბარი, მაგრამ რამდენი გაქირვების გზები იყო გავლილი, სანამ მარტოხელი თუშის ქალი მიხანს მიახწევდა და შვილიშვილთ ამ დღემდე მოიყვანდა დიდი ნებისყოფა ამისათვის საჭირო და ესეთი ნებისყოფა ამ მთებში იბადება.

დღეს თუშის ქალიც ეწაფება სწავლას. დღემდე ასე როდი იყო. თუშის ქალი, მამაკაცთან შედარებით, უფრო კარჩაკეტილი იყო...

გავცდით ალვანს; აი, ვანო ბუჭურაძლის სახლი,—მეუბნება ლევანი. ვანო ხომ ერთ-ერთი ქართველი ბელეტრისტია, რომელმაც თუშთა ცხოვრება მოგვცა თავის მოთხრობებში. მიხარია, რომ ამ პირველი თუში მწერლის სახლკარს ვუმხერ ზევიდან, გზიდან...

სოფელ ხარბალას ძირში გაველით ჭალახანში. ჩვენ წინ პანკისის ხეობაა, იშვიათი კუთხე საქართველოში. პანკისის ხეობა ჩვენი მთიულების პატარა მუზეუმი. პანკისის დაბურულ ტყეებში მოფანტულია პატარ-პატარა სოფლები: ფშავლების, ხევსურთა, თუშთა, ქისტთა, ოსთა და სხვების. ეს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ხალხი შეყრილა ალაზნის პირას, თითქოს იმისათვის, რომ ეჩვენონ ურთიერთს, გაშინჯონ და დარწმუნდენ, რითი ჰგვანან ურთ-ერთს ან რით განსხვავდებიან.

აი, კამეჩთა დიდი ჯოგი. ზოგი ალაზნის ტალღებშია განცხრომით, ზოგი ნაპირზე ზანტად სძოვს ბალახს. პატარა მწვეშები ხის ჩრდილში მხიარულობენ, დიდგულას სალამურს არაკაკებენ.

ვუახლოვდები, ვესალმები..

მხიარულად მაძლევენ სალამს.

— სადაურები ხართ?

— დუისოფლიდან გახლავართ, ქისტები

ეტყობათ კიდევ: მალღები, გამოსხებილები სჩანან ეხლავე. ქისტი ხომ ტანწერწეტია, ქერა.

ვთხოვ დაუკრან სალამური, უარზე არიან: „ჩვენ არ ვიცით, ვსწავლობთ...“

ვცილდები და გამოსათავაზებლად მესმის სალამურის ტკბილი ხმა, რომელსაც თითქო თავის ხმებში აეტაცნოს ამ ხეობის სინაზე და სილამაზე, დაბურული ტყეების საიდუმლო.

და ტყეები მართლაც დაბურულია. ალაზნის პირზე უჩეხიათ, უკაფიათ, მაგრამ მაინც დარჩენი-

ლა ასწლოვანი მუხა და წიფელი, ლაფანი, ალაზნის ველისათვის დამახასიათებელი მცენარე, აუარებელი კაკლის ხე, ტოტებქალიანი, თავქოჩრიანი.

ადამიანის დაუნდობელ ხელს მრავალი წიფელი და მუხა შემოუკორტნია, კანი გადუჭრია. ასეთი ხე ერთ წელიწადს თუ-ლა იცოცხლებს: კანი თუ გადიჭრა, საზრდოს მიწოდება სწყდება, რადგან ქერქსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად ზეხვლებით ას და ორასწლოვან ბუბერაზს, უკვე ტოტებგამხმარს, საცოდავად გამოიზიარს. ეს უაღრესად მაზარალებელი და ველური ჩვეულება დროა დავივიწყოთ საქართველოში: ჩანაგდება ტყე, ნადგურდება...

გზის აქეთ-იქით, ვაკეზე თუ მთის ფერდობზე, ალაზნის გაღმა-გამოღმა მოსჩანან სოფლები: დედის ფერული (ფშავლების) დუი სოფელი, ჯოყოლო (ქისტების), ქორეთი (ოსების), ბირკიანი (ჩალმა თუშების) და სხვ.


გზად გვხვდებიან ქისტები ყოპრალი ჩოხებით, სადად ჩაცმულნი. ოსები—თეთრი ქუდებით, მათი ქალები—ქრელი კაბა-თავსაკრით. ფშავლები—ყვითელ სირმა მოვლებული შავი მოკლე ჩოხებით... თუშები, ხევსურები, კახელები... ცხენები ყველის გუდებით, 15-20 ერთად. ერთი ან ორი თუში მოსდევს, მზისაგან და ქარისაგან ბრინჯაოსფრად აჩუჯული. გულლიად და ომახიანად გვესალმებიან, თითქოს ზურგზე ესვენოთ მთების სილაღე, სიდიადე და ზვიადობა. პანკისის სათემო სოფელში—ჯოყოლოში—მივდივით... დაკდექით სკოლაში... გვერდით—სამკითხველო, თაროზე წიგნები, გაზეთები, კედელზე—სურათები: ლენინი, მახარაძე, რუსთველი, ქავჭავაძე...

აქ არიან ჩემი მოწაფენი: აბდულა, მაჰმადი—ქისტები, მოსე—ფშაველი, პანკისელები—ტფილისში სწავლობენ.

აბდულა აღარ მაცდის: წაპოდი ჩვენსას, ჩემი სახლი ნახე, ჩემი დედ-მამა: არ გვეშვება. მოგეტება ბაღის სიჯიუტემ და მივდივართ სამნივე. ბაღში შეგვიყვანა, მოგვიკრიფა ხილი—მსხალი, ვაშლი. „დედ-მამა-კალოზე არიან, მოვლნ“...

„კეთილი იყოს თქვენი ჩემს ოჯახში ფეხის შემოდგმა, სახლის გაბედნიერება...“ თავაზიანობა სჩანს დიდი, შუახნის კაცის მოსალმებაში. ეს აბდულას მამაა.

„მობრძანდით სახლში, ისაუხმეთ“. უარს ვართ, „არ იქნება, ჩვენს სახლში რომ მოაბრძანდით, პურიც უნდა გატეხოთ“. შევდივართ ფიცრულის სახლში, ჭედულია (პანკისის ხეობაზე სახლების უმრავლესობა ასეთია). სასტუმრო ოთახში ვართ.



გომბორის ქედი. ფერდობები დაფარულია ტყით.

სუფრაზე გაჩნდა: ყველი, პური, ერბოკვერცხი და სხვა სახელდახელო საუზმე. ხელი დაგვაბანინეს. გავიდენ ყველანი, აბდულაც. დავრჩით სამნი და ველით მასპინძლის მოსვლას. არ სჩანს. კარიდან

გვესმის აბდულის ხმა: „მიირთვიტ“. ერთმანეთს გადავხედეთ.

— ვგონებ, ამათში აღათია, რომ მასპინძელი სტუმართან პურს არ სჭამს,— ამბობს ლევანი,— ეს პატივისცემის ნიშანია ამათში...

სჩანს ასე ყოფილა, რომ არ მოდიან. საუზმის შემდეგ მოდის კვლავ აბდულა, წყლით ხელს გვაბანინებს, კარში გვხვდება მასპინძელი, აბდულას დედ-მამა, გზა გამოკვითავაზეს.

საკვირველი ჩვეულებაა: მასპინძელმა სტუმართან რომ ისაძილოს, სტუმრის მასხარად აგდება ან არაფრად ჩაგდებააო. ასე იციან, თურმე, ქისტეთში და, აი, თითქმის ასი წლის განმავლობაში მათ ეს ჩვეულება არ დაუვიწყრიათ.

ხვალ ბაწარაზე მივდივართ—ხელუხლებელ უდაბურ ტყეში. იქიდან—ტბათანაზე, ქისტების საზაფხულო ადგილებში.

პანკისს კიდევ ვნახავთ.

ნ. კეცხოველი

ჩვენი უპრადლეგ სოფელს!

ქვევით ვათავსებთ დავალებებს, რომელიც მისცა ქ. ტფილისის მე-3 რაიბიურომ სოფლად მიმავალ პიონერებს. ამ დავალებაში ვრცლად არის ჩამოთვლილი ის ამოცანები და სამუშაო, რომელიც უნდა ჩაატარონ სოფლად ჩვენმა პიონერებმა. ჩვენის მხრით ვურჩევთ პიონერებს გულდასმით წაიკითხონ ეს დავალება: ის არა მარტო მე-3 რაიონის პიონერებს შეეხება, არამედ საერთოდ ყველას, და ყოველგვარად იმუშაონ მის ცხოვრებაში გასატარებლად.

„პიონერის“ რედაქცია.

პიონერები სოფლად—სწორედ ესენი არიან მატარებელნი ახალი ყოფის, ახალი იდეების, ახალი საზოგადოებრივობის. მათი საშვალეებით ეს „ახალი“ დაუშრეტელ წყაროებად შეერთვის სოფლის მთელ ცხოვრებას, მის მთელ სამეუნეო, პოლიტიკურ და საოჯახო ცხოვრებას. მტკიცედ და შეუდრეკად იმუშავენ ეს ნორჩი ხალხი ახალი სოფლის აღმშენებლობისათვის“.

მ. კალინინი.

ქვირფასო პიონერებო!

აი ის ამოცანები, რომლის გატარებასაც გვავალდებენ ჩვენი ბელადები: ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას მის სოციალისტურ მუშაობაში. ჩვენი ამოცანაა—ავაშენოთ ახალი ცხოვრება, ახალი საზოგადოება. ჩვენი ამოცანაა—დავავხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი პატარა ხელით ახალი ცხოვრების აშენებაში. განსაკუთრებით ზაფხულობით მიდიან მუშები, კომუნისტები, კომკავშირელები და პიონერები სოფლებში; ამიტომ განსაკუთრებით ამ დროს უნდა გაძლიერდეს მუშაობა სოფლად. პარტია იმ ამხანაგებს, რომლებიც მიემგზავრებიან სოფლად, აძლევს დავალებებს, აძლევს ამოცანებს, რომლებიც უნდა გაატარონ შეხვედრებში მიმავალმა ამხანაგებმა. ნორჩი ლენინელებიც არ უნდა ჩამორჩენ ცხოვრებას, ისინი პირველ წყებაში უნდა იყონ იმათ რიგებში, რომლებმაც უნდა იმუშაონ სოფლისათვის.

ნ. პ. რაიბიურო იძლევა ქვემოჩამოთვლილ დავალებებს და დაწმუნებულია, რომ ჩვენი რაიონის პიონერები მას 100 პროცენტით შეასრულებენ:

1. როდესაც წახვალ სოფლად, შენი ამოცანა უნდა იყოს გააუმჯობესო ჯანმრთელობა—გახსოვდეს, რომ მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად საქირთა ჯანმრთელი თაობა.

2. როდესაც წახვალ სოფლად, უნდა ჩაება სოფლის პიონერთა რიგებში. თუ ასეთები არ არიან იქ, მაშინ უნდა დააარსო იქ კოლექტივი.

3. კარგად უნდა გაეცნო სოფლის პიონერებს და ნ. პ. კოლექტივის მუშაობას.

4. შენ უნდა იყო სოფლის პიონერ-კოლექტივის აქტიური მუშაკი, მუშაობის სხვადასხვა დარგის ორგანიზატორი (როგორც, მაგალითად, კედლის გახეთის გამოშვების საქმეში, სანიტარულ-ჰიგიენურ მუშაობაში, სხვადასხვა საღამოების მოწყობაში, კოლექტივის სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გამოფენის მონაწილე, როგორც უფრო მცოდნე და სხვ.)

5. რომ ყველაფერი ეს შესძლო, ამისათვის საჭიროა ყოველდღე კითხულობდე ჟურნალ-გაზეთებს.

6. დაეხმარე პიონერებს კომუნის, კოოპერატივის სასარგებლოდ ჩასატარებელ მუშაობაში.

7. შაბათობის ჩატარების დროს შენ და სოფლის ყველა პიონერი პირველ რიგში უნდა იყოთ.

8. დაეხმარე პიონერებს, რომელნიც მოისურებენ სასკოლო საგნებში, ამავე დროს თვითონაც ამხადე შენი გაკვეთილები და სკოლის დავალებანი.

9. მოაწყვე გლეხთა ბავშვებისათვის, გლეხებისათვის ხმამაღლა კითხვა სხვადასხვა თემებზე, ღაიქირე თავი წესიერად, რომ ავტორიტეტი გქონდეს.

10. განუმარტე იმ მშობლებს, მოჯამაგირებს, საშუალო გლეხებს, რომლებიც არ აძლევენ ნებას თავიანთ ბავშვებს ჩაეწეონ კოლექტივში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერ-მოძრაობას. ამის დასამტკიცებლად ფაქტები მოიყვანე ადგილობრივი კოლექტივის მუშაობიდან.

11. შენ უნდა იყო პირველი მონაწილე იმ საქმის, სადაც ტარდება კოლექტიური მუშაობა სოფლის ან რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.

12. შენ უნდა ებრძოლო იმ ბავშვებს, რომლებიც აფუჭებენ ბაღებს, ბოსტნებს—გლეხთა შრომას.

13. შენ უნდა აწარმოებდე მიწერ-მოწერას ქალაქის შენს კოლექტივთან. უნდა აუწერო მას შენი და სოფლის კოლექტივის მუშაობა.

14. შენ უნდა შეასრულო ასი პროცენტით ჩვენი ორგანიზაციის ჩვეულებანი: უნდა ადგე ადრე, ჩაატარო თავისუფალი ვარჯიშობანი, არ უნდა მოსწიო თამბაქო, არ უნდა დალიო ღვინო, რომ ამ საშუალებით გააკაყო შენი სხეული.

15. ყველაფერი, რაც შენ გააკეთე, უნდა ჩაიწერო უბის წიგნაკში, რომ შემდეგ ყველაფერი უამბო ქალაქის პიონერებს.


16. სოფლად უნდა ჩაატარო მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო მუშაობა, შეაგროვო ფოტოების, ქვების, მწერების და სხვ. კოლექცია.

17. სოფლიდან ჩამოსვლისას შენ უნდა გქონდეს: ა) კარგი ჯანმრთელობა, ბ) საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის პრაქტიკა და გ) სკოლის ყველა დავალება უნდა გქონდეს შესრულებული; ძვირფასო პიონერებო! გარდა აქ ჩამოთვლილისა, კიდევ ბევრი სამუშაო იქნება სოფლად, რომელშიც თქვენ მონაწილეობა უნდა მიიღოთ. კარგად გახსოვდესთ, რომ პარტიასთან, კომკავშირთან ერთად თქვენ აშენებთ ახალ სოფელს, ახალ ცხოვრებას, ახალ საზოგადოებას.


ნორჩო პიონერებო, უნდა გახსოვდესთ ილიჩის ანდერძები და უნდა შეასრულოთ ის!

იყავით მზად!

ქ. ტფილისის ნ. პ მე-პ რაიბიურო.



პიონერები წყალს ასხურებენ ხეებს.



ჩვენი ქმეზი მსოფლიოში

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია ბავშთა კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ყველა ქვეყნების ბურჟუაზია განსაკუთრებით გაძლიერებულ ყურადღებას აქცევს ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას. ის ყოველგვარ ზომას ხმარობს, რომ შეაჩეროს ბავშთა კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განვითარება და, რამდენადაც შესაძლებელია, კიდევ მოსპოს ის. ბურჟუაზიის ასეთი დამოკიდებულება ბავშთა კომუნისტური მოძრაობისადმი პირველ ყოვლისა იმით ახსნება, რომ უკანასკნელი ამ ცოტა ხნის განმავლობაში მეტად ფართე მოძრაობად გადაიქცა, მის რიგებში მრავალმა ათასეულმა პროლეტარმა ბავშვმა მოიყარა თავი და ის მეტად დიდ დახმარებას უწევს მუშებს გაფიცვის და ბრძოლის დროს, ებრძვის რეაქციონერ წესებს, რომელიც გამეფებულია ბურჟუაზიულ სკოლებში. გარდა ამისა, ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაზე უფრო მეტად გრძნობს დღეს, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მისთვის ეს მოძრაობა, რომელიც მის გავლენას აშორებს პროლეტარულ ბავშთა მასებს.

ინგლისში, თემთა პალატაში, 213 ხმით წინააღმდეგ 85 მეორე კითხვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი ღმერთის უარყოფელთა და აჯანყების მომწყობთა წინააღმდეგ. ამ კანონის თანახმად მასწავლებელი ან ხელმძღვანელი ბავშთა ორგანიზაციისა, რომელიც ბავშვებში გასწევს აგიტაციას ხელისუფლებისა და ეკლესიის წინააღმდეგ, დატუსაღებული იქნება 4 თვით, ან დაჯარიმებული 50 გირვანქა სტერლინგით. ამ კანონის დასაწყისში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყველა ბავშს არ შეუძლია იაზროვნოს დამოუკიდებლად და ამიტომ მათზე შთაბრუნებით მოქმედება დანაშაულია. ვინც ამას ჩაიდენს, ის კანონით უნდა დაისჯოს.


კანონი კრძალავს აგრეთვე ასეთ რამეებსაც: აუხსნათ ბავშვებს, თუ რისთვის სჩაგრავენ და ავიწროებენ ჩინეთის მშრომელ ხალხს ინგლისელები, რა მატყუარობაა რელიგია და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს კანონი მიმართულია ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ, რადგანაც სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მოჰყვებიან მოღალატე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ბავშვებს ზრდიან წმინდა ბურჟუაზიულ გემოვნებაზე. ამასთანავე სწორედ პიონერები იყენენ, რომ აქტიურად ეხმარებოდნენ გაფიცულ სამთამადნო მუშებს.

გერმანიაში ბავშთა კომუნისტური მოძრაობა უკვე რამოდენიმე წელია რაც საშინელ დევნას და შევიწროებას განიცდის. ბევარი მთავრობამ აკრძალა ბავშთა პროლეტარული ორგანიზაციების არსებობა, რა სახისაც გინდა იყოს ის. ვიუტემბურგში 16 წელზე უფრო პატარა ბავშვებს ეკრძალებათ იყენენ პროლეტარული ორგანიზაციის წევრნი, ტიურინგიაში და ჰესენში აკრძალულია სასკოლო უჯრედები, მრავალ ადგილას ბავშვებს ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ კომუნისტურ კრებებში და დემონსტრაციებში და სხვა.

გერმანიის მთავრობა ახლა ამზადებს სასკოლო კანონს, რომელსაც თავის მიზნად აქვს დასახული სკოლებს სარწმუნოებრივ-საეკლესიო ხასიათი მისცეს.

საფრანგეთის მთავრობის მალიტარისტული გეგმები ეხება არამარტო მამაკაცებს, ქალებს და მოზარდებს, არამედ აგრეთვე სასკოლო ასაკამდე მიუხვეველ ბავშვებსაც. ბავშვების ნაციონალისტურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, და



მომავალში სკოლები უფრო და უფრო დაემსგავსება ყაზარმას.

ჩეხო-სლოვაკეთის ნაციონალ-დემოკრატების კლუბმა მიმართა ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრს შეკითხვით კომუნისტ ბავშთა დემონსტრაციის შესახებ; შეკითხვაში განსაკუთრებით ხასკამულია, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბავშვები, რომელთაც გულზე წითელი ნიშნები ეკრათ. შემკითხველთა აზრით, ბავშთა ასეთი დემონსტრაციის მიზანია ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება. ქ. პრაგის ადგილობრივმა საბჭომ ყველა სკოლას გაუგზავნა ცირკულიარი, რომლის თანახმადაც უნდა გამოერკვიათ, თუ რამდენი ბავში იღებდა მონაწილეობას კომუნისტურ დემონსტრაციაში და რამდენი მასწავლებელი და ვინ ახლა მათ. ქ. ბრიონში საიდუმლო პოლიციის ორი აგენტი მივიდა იმ შენობაში, რომელშიაც ნორჩი პიონერები ატარებდენ კრებას. პოლიციელებმა ყველა ბავშვის გვარები დაიწერეს. იმ ამხანაგს, რომელიც, პოლიციელების წარმოდგენით, კოლექტივის წინამძღოლი იყო, ბინაც გაუჩხრიკეს. ქ. აიბენშიუტშივეც ასევე მოექცა პოლიცია ნორჩ პიონერებს.

ასეთივე მოვლენებს აქვს ადგილი ავსტრიაში, იქაც გააძლიერა მთავრობამ ბავშთა კომუნისტური მოძრაობის დევნა. გერმანელმა დეპუტატმა ცამბონმა მიმართა ავსტრიის განათლების მინისტრს განცხადებით, რომელშიც ის ეხება წითელ პიონერთა მოქმედებას. თავის განცხადებაში მას მოჰყავს ადგილები წითელ ნორჩ პიონერთა წესდებიდან. განცხადების დასასრულს ის მიმართავს მინისტრს, რომ გაცეს განკარგულება ყველა სკოლის ხელისუფლები-სადმი, რომ მოიშორონ ბავშთა კომუნისტური ჯგუფები, რომლის მიზანიც არ შეეფერება სახელმწიფოს აღზრდის იდეალს (რასაკვირველია, ბურჟუაზიულის! რედ).

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის განვითარება მაინც წინ მიდის. მართალია, მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა და ბრძოლა, მაგრამ პატარა მებრძოლებიც მტკიცედ არიან გამსჭვალული რევოლუციონური სულით და ისინი თავდადებული აწარმოებენ დიად საქმეს.

მონღოლეთის პიონერები.

პიონერთა ორგანიზაცია მონღოლეთში ჯერ ახალგაზრდა მოძრაობაა. პიონერთა პირველი რაზმები ჩაისახა ახალგაზრდათა რევოლუციონური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით; ახლა ეს მოძრაობა

თანდათან ფართედ ითრეეს თავის რიგებში მონღოლი ბავშების მასებს. მუშაობას აფერხებს ის, რომ მათ არ ჰყავთ ისეთი მომზადებული პიონერ-მუშაკები, რომლებსაც შეეძლოსთ პიონერ-მოძრაობის სწორედ წარმართვა და მისი ხელმძღვანელობა.

პიონერ-ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ისეთივეა, როგორც ს. ს. რ. კ. პიონერების, მხოლოდ ერთის განსხვავებით: პიონერ-კოლექტივები არსდება მხოლოდ სკოლებთან, ვინაიდან ისე სრულიად შეუძლებელია მუშაობა, რადგანაც მოსახლეობა ძლიერ დაფანტული და დაშორებულია ერთმანეთისაგან, თანაც ისინი მომთაბარენი არიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულობით პიონერ-მუშაობა თითქმის არ სწარმოებს, რადგანაც მოსწავლე ბავშვები საზაფხულო არდადეგების გამო შინ მიდიან. რევოლუციონერ ახალგაზრდათა კავშირმა მიაქცია ყურადღება ზაფხულის არდადეგების გამოყენებას. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წელს დაადგინა, სადაც შესაძლებელია, მომთაბარეებშიც დააარსოს პიონერ-კოლექტივები და რგოლები. მაგრამ ჯერჯერობით ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა.


1925 წელს ქალაქის პიონერ-ორგანიზაციები წავიდნენ ბანაკად, რამაც დიდი შედეგები მოიტანა: ბავშვებში გაუმჯობესდა დისციპლინა და აქტივობა, შეეჩვიენ კოლექტიურ მუშაობას და მოქმედებას.

მიმდინარე წელს ბანაკის მოწყობა ვერ მოხერხდა მთელ რიგ მიზეზთა გამო.

პიონერ ორგანიზაციის შექმნის დღიდანვე რევოლუციონური ახალგაზრდობა ერთ დიდ დაბრკოლებას ხედებოდა: არ ჰყავდა მომზადებული პიონერ-მუშაკები და არ ჰქონდა საბავშო ლიტერატურის გამოცემის საშუალება. ამ მიზართულებით დღეს დიდი მუშაობაა ჩატარებული.

1926 წლის ზაფხულში ჩატარებულ იქნა სპეციალური თვიური კურსები პიონერ-მუშაკთა მოსამზადებლად. ამ კურსებისათვის ამორჩეულ იქნა რევოლუციონური ახალგაზრდობის ორგანიზაციიდან 20 აქტიური წევრი. კურსების მუშაობამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. კურსების დასრულების შემდეგ მისი მონაწილენი დაგზავნილ იქნენ წინამძღოლებად. ამგვარად, პიონერ მოძრაობა დღეისათვის შედარებით უზრუნველყოფილია პიონერ-მუშაკებით.

ახლა გამოდის ყოველთვიური პიონერული ჟურნალი, რომელიც სისტემატიურად გამოდის. განზრახულია ახლო მომავალში გამოიცეს საბავშო ლიტერატურა, წიგნები სანიტარიის და ჰიგიენის, ბავშთა საერთაშორისო მოძრაობის, პიონერთა პრა-



ქტიკული მუშაობის და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც საჭირო იქნება არა მარტო პიონერებისათვის, არამედ ბავშთა ფართე მასებისათვისაც.

დღეს მონღოლეთის პიონერ-ორგანიზაციაში 700 ბავშვაა. ორგანიზაციის შემდგომი განვითარება და მასში ბავშთა ფართე მასების ჩაბმა განზრახულია ისეთ სკოლებში, სადაც არსებობს ძლიერი საკავშირო უჯრედები.

ფართე მამულებით იქნა წელს ჩატარებული ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

პიონერ-ორგანიზაცია აგრეთვე მონაწილეობს ყველა კამპანიაში, რომელსაც ატარებს პარტია და კავშირი.

მცხოვრებთა მთელი მასა მეტად კარგად უყურებს პიონერ-ორგანიზაციას. ამის დამამტკიცებელი მრავალი მაგალითიც არის. მოვიყვანოთ ზოგიერთი:

კოლექტივიდან გამოირიცხული ერთ-ერთი პიონერების მშობლები მივიდნენ რევოლუციონური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტში და განაცხადეს: რადგანაც ჩვენი შვილი გარცხეს პიონერ-ორგანიზაციიდან იმ დროს, როდესაც მონ-

ღოლეთი განიცდის თავისუფალ რევოლუციონურ განვითარებას, მან საერთოდ არ უნდა იცხოვროს ქვეყანაზე, უკეთესია ის მოკვდესო.

მცხოვრებლები საჭიროების დროს აგრეთვე ნივთიერადაც ეხმარებიან პიონერ-კოლექტივებს.

ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ მონღოლეთის პიონერ-მოძრაობა მტკიცე განვითარების გზაზეა შემდგარი.

ჩინეთის პიონერები.

ჩინეთში ყოველდღიურად იზრდება პიონერთა მოძრაობა. მარტო ხუბეის პროვინციაში აღვლება 30,000 პიონერი. ამ პროვინციაში ჯერჯერობით პიონერ-ორგანიზაციაში მხოლოდ ეაყი ბავშვები შედიან.

პიონერები დიდ დახმარებას უწევენ პარტიას და კომკავშირს; ეხმარებიან მიტინგების და დემონსტრაციების მოწყობაში. ხშირად თვითონაც გამოდიან მიტინგებზე.

ამასწინეთ ერთ-ერთ პროვინციაში შესდგა ნორჩ პიონერთა აღლუმი, რომელშიაც 12,200 მუშათა და გლეხთა ბავში იღებდა მონაწილეობას.



სოფ. ახალდაბის პიონერ-კოლექტივი (გორის მაზრა).

მეტი უკადღაბ კოოპერაციას.

(კოოპერაციის დღის გამო)

დღეს თვითეული პიონერისათვის ნათელი უნდა იყოს კოოპერაციის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება ისწრაფვის გადავიდეს სოციალისტურ წესწყობილებაზე, ე. ი. ისეთ წესწყობილებაზე, სადაც ყველაფერი საყოველთაო იქნება, სადაც საერთო ძალ-ღონით უნდა მოგვარდეს კაცობრიობის ცხოვრება. კოოპერაცია ხომ საერთო ძალ-ღონით ახალი ცხოვრების მშენებლობას მოასწავებს.

ამიტოვაც არის, რომ ჩვენში კოოპერატივებს დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა ეძლევა.

რომ უფრო მეტი მშრომელი ხალხი ჩაებას კოოპერაციაში, დაუახლოვდეს მას და ის ამით უფრო გაძლიერდეს, ამ მიზნით დაწესებულია კოოპერაციის საერთაშორისო კვირეული.

რაც უფრო იზრდება კოოპერაცია, მით უფრო მეტი საზრუნავი უჩნდება მას. ჩვენს კოოპერატივებს ჯერ კიდევ აქვს სუსტი მხარეები, მაგრამ ყველა ნაკლის დაძლევა შეიძლება, თუ ყველა მრავალი ათასი წევრი აქტიურად ჩაებმება საქმიანობაში. ნუ დავივიწყებთ, რომ საბჭოთა კოოპერაცია სიკვდილია კაპიტალიზმის. როდესაც მშრომელი ხალხი ხელისუფლებას ჩაიგდებს ხელში, — ამბობდა ანხ. ლენინი, — კოოპერაციის ზრდა ეთანაბრება სოციალიზმის ზრდასო, ე. ი. უმათვრეს მიზანს სახელმწიფოსას, რომელმაც ხელისუფლება გამოსტაცა ბურჟუაზიას, წარმოადგენს კოოპერაციის განვითარება და კოლექტიურ, საერთო ძალ-ღონით შრომას შეჩვევა სხვადასხვა საქიროების დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ ჩვენი სახელმწიფო მთელი ძალ-ღონით უწევს დახმარებას კოოპერაციის განვითარებას, ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდეს კოოპერატიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

როგორი უნდა იყოს ჩვენი მონაწილეობა კოოპერაციაში?


ყოველი პიონერი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს კოოპერატიულ საქმიანობაში, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მისი დამხმარე, წევრი, უნდა მოახდინოს თავისი მშობლებზე ვაჟენა, რომ ისინი გაერთიანდნენ კოოპერატივებში, პიონერ-კოლექტივებში, სასწავლებლებში უნდა იქნეს დაარსებული „კოოპერატივის მეგობართა წრეები“, ამ წრეებში უნდა გაეკონ კოოპერაციას საერთოდ, მისი წარმოშობის ისტორიას, განვითარების გზებს და სხვ.

უკვე მოახლოვებულია კოოპერაციის საერთაშორისო დღე. ჩვენი კოლექტივები ამ დღეს ჩაატარებენ კრებებს კოოპერაციის მნიშვნელობაზე და ერთხელ კიდევ აღნიშნავენ, რომ კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენ. მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ ეს არ კმარა, კამპანიას თან უნდა მიჰყვეს ყოველდღიური, განუწყვეტელი მუშაობა, პიონერებისა და მოსწავლე ბავშვების დაახლოვება კოოპერაციასთან.

ჩვენი კოოპერაციის განვითარება ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. კომკავშირელების, პიონერების, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მასში არ უნდა ჩამორჩეს ამ წინსვლას.

3. ლ.





გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე.

ნიუ-იორკიდან ლინდბერგი გამოფრინდა 20 მაისს, დილით, ამერიკული დროის 7 საათზე და 52 წუთზე. იგი მიფრინავდა ჩრდილოეთის მიმართულებით. დღის 1 საათზე იგი გადაფრინდა ახალი შოტლანდიის ნაპირზე (ჩრდ. ამერიკისა) ნიუ-ფაუნდლენდის მიმართულებით. ოკეანეზე მას მოუხდა ფრენა მთელი ღამე და ნაწილი მეორე დღისა. საღამოს

თავისი გადაფრენით ლინდბერგმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ადამიანის ტექნიკური გენიისთვის დაბრკოლება არ სუფევს. ლინდბერგმა პირველად დააწესა საჰაერო ქსელი (აეროპლანზე) ორი სახელმწიფოს სატახტო ქალაქთა შორის, რომლებიც მდებარეობენ ატლანტის ოკეანეს ორივე ნაპირზე. საზოგადოდ რომ ვთქვათ, გადაფრენები საშ-



მფრინავი ლინდბერგი და მისი ჰაეროპლანი.

რეთ ატლანტის ოკეანეზე არაა ახალი ამბავი. პირველად გადაფრინდა 1919 წლის ზაფხულში ამერიკელი რიდო, რომელიც გამოფრინდა 15 მაისს ნიუფაუნდლენდის ჩრდილო ბოლო ადგილიდან კერტის მფრინავი ნავით და რამდენიმე დღის შემდეგ მიფრინდა ლისაბონში (პორტუგალია) აზორის კუნძულებზე გაჩერებით. იმ წლის 14 თიბათვეს ინგლისელი ალკოკი გადაფრინდა ოკეანეზე პილის სისტემის თვლიან ორმოტორიან აეროპლანზე და გაიარა 3.400 კ. მ. მანძილი ნიუ-ფაუნდლენდსა და ირლანდიის შორის—16 საათში და 12 წუთში. ერთი თვის შემდეგ მოხდა უფრო გაბედული გადაფრენა ინგლისური დირიჟაბლით R 34. დირიჟაბლი, რომელშიაც ისხდა 30 კაცი, შესვსვენებლრივ გადაფრინდა ისტ-

შვიდ საათზე მან გადიფრინა ირლანდიაზე და საღამოს 10 საათზე და 22 წუთზე დაეშვა ცენტრალური მთავრობის აეროდრომზე (პარიზი-ლეზურჟე).

მთელ გაფრენას—სივრცით 5.400 კ. მ.—მოუწია მხოლოდ 34 საათი; მაშასადამე, ფრენის სიჩქარე საათში 160 კ. მ. უდრის.

ლინდბერგის გადაფრენამ მხურვალე აღტაცება გამოიწვია მარტო ამერიკაში კი არა, ევროპაშიც. ოვაციების გარდა, რომელნიც ხვდა მას წილად, აგრეთვე ორდენებისა და მილოცვებისა, რომლებიც მან მიიღო სხვადასხვა მთავრობებისაგან, ლინდბერგს მთელი რიგი ორგანიზაციებისაგან მიეცა წინადადება წაეკითხა მოხსენება და ლექციები თავის მოგზაურობაზე.

რით არის შესანიშნავი ლინდბერგის გადაფრენა? თავიდათავი—ეს პირველი გადაფრენაა აეროპლანზე ნიუ იორკიდან პარიზში შეუსვენებლივ.

ფორტიუნიდან (დიდი ბრიტანეთი) 7½ საათში და 3 წ.

რამდენიმე წლის შემდეგ (1924 წ.) ოკეანეზე გადაფრინდა გერმანული დირიჟაბლი ZR3 (ლოსანჯელოს). მთელი მანძილი—8.651 კ. მ.—გაიარა 62 საათში (საათში 112 კ. მ.) და ბოლოს (1925 წელს) ატლანტიური ოკეანეს სამხრეთი ნაწილი ნიუ-ფაუნდლენდში გადაჭრეს ამერიკელმა მფრინავებმა, რომლებმაც დედამიწას გარს შემოუარეს. მიუხედავად ამისა, ლინდბერგის გადაფრენა მაინც საყურადღებოა: უპირველესად ყოვლისა, ის ფრინავდა მარტოდმარტო, ყველა წინანდელ გადაფრენებში კი მფრინავებს თან ახლდათ თანაშემწე. აეროპლანის ტარება 34 საათის განმავლობაში ოკეანეს წყლის თავზე და ისიც უთანაშემწეოდ, ძალიან მძიმე და სახიფათო საქმეა. ფოსტის აეროპლანი, რომელზე-



დაც ფრინავდა ლინდბერგი, წარმოადგენს საშუალო ძალის აეროპლანს (200 ცხ. ძალის) და აქვს რაიონის ამერიკული ძრავი „უაიროლენდი“. იგი ითვლება ერთ საუკეთესო თანამედროვე ძრავად.

ამ სისტემის ძრავით მიახწია მფრინავმა ბირტურ სამხრეთ პოლუსამდე და მშვიდობით დაბრუნდა უკანვე შპიცბერგენში.

ამრიგად ლინდბერგმა შეასრულა თავისი სიმორით და საშიშობით გასაოცარი ვადაფრენა, შედარებით პატარა თავისი საფოსტო აეროპლანით. რასაკვირველია, საქებ ვადაფრენას ხელი შეუწყო ბუნებაჲც: კარგმა ამინდმა და გზადაგზა ზურგისსუსტმა ქარმა, თუმცა მფრინავი ლინდბერგი გვატყობინებს, რომ 1.500 კ. მ მას მოუხდა ფრენა ოკეანეზე წვიმასა და თოვლს ქვეშ.

ლინდბერგის ფრენის სიმორე შეიძლება დაედაროს უკანასკნელ რეკორდებს შეუჩერებლივ ფრენისა, რომელიც დამყარებულია საფრანგეთის მფრინავთა მიერ. როგორც ვიცით, უკანასკნელი რეკორდი ეკუთვნის კოსტს და რინიოს, რომლებიც ვადაფრინდენ პარიზიდან ჟაკეთში (სპარსეთი)—მანძილი 5.425 კ. მ. (სწორი ხაზით 32 საათი). მართალია, ლინდბერგმა გაიარა 5.400 კ. მ., მხოლოდ არა სწორი ხაზით, სამაგიეროდ აეროპლანზე (200 ცხ. ძალა) კოსტასა და რინიოს აეროპლანთან შედარებით (500 ცხ. ძალ.) გაცილებით ნაკლებძალიან აეროპლანზე. პატარა საფოსტო აეროპლანისთვის, როგორცაა „რინი“, ეს ვადაფრენა ლინდბერგისა ატლანტიურ ოკეანეზე ჩაითვლება არამცთუ რეკორდულად, არამედ გასაოცრადაც.

ლინდბერგის ვადაფრენა, ეჭვი არაა, ჩაითვლება მაგალითად და ააჩქარებს მუდმივი საჰაერო რეისის დაწესებას ოკეანეზე.

ლინდბერგის ვადაფრენა, ეჭვი არაა, ჩაითვლება მაგალითად და ააჩქარებს მუდმივი საჰაერო რეისის დაწესებას ოკეანეზე.

რა არის ინდუსტრიალიზაცია.

ერთ წელზე მეტია, რაც საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-XIV-ე ყრილობამ მთავარ ამოცანად დაისახა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ინდუსტრია ნიშნავს თანამედროვე მანქანურ და საფაბრიკო წარმოებას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს ქვეყნის მეურნეობის იმრიგად დაყენებას, რომ ქალაქში და სოფლადაც რაც შეიძლება მეტად იქნას გამოყენებული მანქანა, ადამიანის ეს რეინის მონა

„რათ გვინდა ჩვენ ინდუსტრიალიზაცია, თუკი ჩვენი მამები და ბაბუები გუთნითაც შოულობდნენ საქმელს“ — გვეტყვის ვინმე უცოდინარი მიყრუებული სოფლიდან.

პიონერს უნდა შეეძლოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან თვით პიონერი მომავალში უნდა იყოს ისეთი მოწინავე ადამიანი, რომელიც შესძლებს ინდუსტრიალიზაციის გეგმის შესრულებას. პიონერმა უნდა იცოდეს, რისთვის სჭირდება პროლეტარიატს ინდუსტრია.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ქვეყნის ქარხნებით და ფაბრიკებით გამდიდრება, სოფლად ტრაქტორის და სხვა მანქანების ვაბატონება, ყველა მდინარის დაგუბება და წყლის ენერჯის გამოყენება ელექტრო-სადგურებისთვის—ყოველივე ეს ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ ძლიერ გავაადვილოთ ადამიანის მძიმე შრომა.

ამერიკაში ახლა ისეა საქმე დაყენებული, რომ ყოველ ადამიანზე მუშაობს 12 ცხენის ძალის მქო-

ნე მანქანა, თითქოს თითო ადამიანს 12 ცხენი ეხმარება. მაგრამ ამერიკის მუშათა კლასის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ძალა მანქანებისა და ელექტრონისა მას კი არა, არამედ ფაბრიკანტს, მებატონე კაპიტალისტს ხმარდება. ამრიგად, ამერიკაში წარმოებს ბუნების ძალთა და მანქანების ყოველმხრივი გამოყენება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ასე არ მოხდება საბჭოთა კავშირში. წყლის, ქარის, მანქანის, ნავთის, მადნეულის ძალას ჩვენ გამოვიყენებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კარგი საქმელ-სასმელი და ბინები გავკეთდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავისი ძალითა და ღონით ჰქმნიან ამ საგნებს. ამრიგად, მუშათა ძლიერებით და მეცნიერების მიხწევების გავრთიანებით, ესე იგი ინდუსტრიალიზაციით მიხწეული შედეგები ჩვენში ხმარდება მუშათა კლასს, გამოყენებულია მისი შრომის და ცხოვრების გასაადვილებლად.

და თუ ამერიკაში კაპიტალისტი აშენებს დიდ, მაღალ და ბევროთახიან სახლს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ძალა გამოსწოვოს მუშა-მოსამსახურეს, ჩვენში პირიქით ხდება, ჩვენში შენდება სახლი ან მანქანა იმისთვის, რომ რაც შეიძლება შენახულ იქნას მუშა-მოსამსახურის ძალღონე.

თუ კაპიტალისტი უყურებს მუშას, როგორც საექსპლოატაციო (გასაყვლეფ) საგანს, როგორც

ნივთს, როგორც მანქანას,—ჩვენი ხელისუფლება პირიქით იქცევა: ის მუშას უყურებს, როგორც მანქანების ბატონ-პატრონს, რომელსაც მანქანა სჭირდება ცხოვრების გასაუმჯობესებლად და გასამშვენებლად. მუშათა ხელისუფლებას ინდუსტრიალიზაცია თანასწორობის, თავისუფლების და კულტურული ცხოვრების, ესე იგი სოციალიზმის, შესაქმნელად სჭირდება.

საბჭოთა კავშირის პროლეტარული ხელისუფლება სწორედ ამ ზემოდახასიათებული თვალსაზრისით და გეგმით შეუდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

აი, აქვე, ტფილისის მახლობლად, 15 ვერსის მანძილზე ამ წლებში შენდებოდა და ახლახან დამთავრდა „ზაჰესის“ (ზემო ავკალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის) შენება.

ეს სადგური მომავალში მოგვცემს იმდენივე ძალას, რამდენსაც 36,000 ცხენი.

აი მთელი რაზმები გლეხური რკინის ცხენებისა—ტრაქტორების. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ისინი სრულებით არ გვქონდა. ახლა საქართველოში ისინი ასობით მოიპოვებინ. შორეულ აღმოსავლეთში (ციმბირში), სადაც მანქანას არასოდეს არ შეუხებდავს, 400 ასეთი ტრაქტორია. ტრაქტორის საშვალეებით შეიძლება უგუთნოდ და უსაქონლოდ, ჩქარა და ადვილად მიწის დიდი რაოდენობის მოხვნა სულ მცირე ხნის განმავლობაში. ტრაქტორის გამოყენება შეიძლება აგრეთვე პურის სალევად, ბალახის მოსაცელოვად, წისქვილის ასამუშავებლად და სხვ.

ლენინგრადის მახლობლად (საბჭოთა რუსეთში) ამ ახლო ხანებში დამთავრდა დიდი ელექტროსადგურის „ვოლხოვსტროის“ შენება. „ვოლხოვსტროი“ აძლევს ლენინგრადს 600,000 ცხენის ძალას. როგორც „ზაჰესის“, ისე „ვოლხოვსტროის“ და საერთოდ ელექტრონის ენერჯის (ძალის) გამოყენება შესაძლოა ყოველგვარ საწარმოო და საქობოროტო საქმეზე. მაგალითად: ქარხანა-ფაბრიკების და სხვათა ასამუშავებლად, ბინების ელექტრონისა-

თვის, ქუჩების და მოედნების გასანათებლად, ბინების გასათბობად და სხვ.

ამრიგად ჩვენი საბჭოთა ქვეყნების წარმოება ამ წელს გადააქარბებს რევოლუციამდე არსებულ წარმოებებს, ჩვენ გვექნება მეტი სიმდიდრე და ტექნიკური საშვალეები, ვიდრე მეფის რუსეთს.

იქ, სადაც 1913 წელს ასი ცელი, ასი ნაჭერი ფარჩა, მანქანა კეთდებოდა, ამ წელს გაკეთდება 113. ესე იგი, ცამეტით მეტი.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა. სოციალიზმმა უნდა დაამტკიცოს თავისი ძლიერება და კაპიტალიზმს უნდა გაასწროს. ამიტომ ჩვენში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს წარმოება და ინდუსტრია.

რუსეთში ბალახონის ქალაქის ქარხნები შენდება, ყველაზე უფრო დიდი მსოფლიოში. შენდება ქალაქის ქარხნები საქართველოშიც.

გურიაში (ს. ომთარეთი) სწარმოებს ნავთის წყაროს აღმოჩენა, და ეს აღმოჩენა თუ კარგად დამთავრდა, მაშინ საქართველოს პროლეტარიატი არაჩვეულებრივად წაიწევს წინ და წელში გასწორდება...

სამტრედიის და გურიაში (ოზურგეთი) აშენდა აბრეშუმის ქარხანა, ოზურგეთში გაყვანილ იქნა რკინის გზა.

ყველა ეს ელექტრო-სადგური, რომელიც დღემდე ტფილისში იყო, ზაჰესის ამუშავების გამო პროვინციაში (სამაზრო ქალაქებში) იქნება გაატანილი.

პიონერებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ ტარდება ინდუსტრიალიზაცია, თუ როგორ უნდა ექცეოდეთ მანქანებს და რა სად უნდა იქნას მოხმარებული.


მომავალში ცხოვრება, შრომა და სიამოვნება მანქანებზე იქნება დამყარებული. მანქანები კი მხოლოდ მაშინ მოგვცემენ კარგ შედეგს, როცა მათ მოხერხებული და განსწავლილი ხელი მართავს.

ამიტომ პიონერის იდეალი უნდა გახდეს მემანქანეობა, ინჟინერობა და ტექნიკოსობა.

პ. მენიძე.

როგორ ეფასდება კავიტაციური კვანძები ოპისათვის

ავტომატიური იარაღის გარდა, ერთეულ მეტროლოთათვის არის სხვა ახალი იარაღი. ეს ახალი გამოგონება გამოწვეულია იმით, რომ ომის დროს დასავლეთის ფრონტზე (საფრანგეთის და ბელგიის), როცა მოწინააღმდეგენი გამაგრდნენ მიწის ქვეშ და გააკეთეს ისეთი სიმაგრეები, რომ მათი გამოდევნა ძნელი შეიქნა. იძულებული გახდნენ ამის წინააღმდეგ გამოეგონებინათ ახალი საშუალებანი. არტილერია შეიქმნა მეტად სხვადასხვა სახის, ამიტომ საჭირო დარჩა უფრო პატარა ნაწილების ქვეითი ჯარი, რომელსაც, შეიპარებოდა რა მტრის მიერ გამაგრებულ პოზიციებში, უნდა გამოეღვენა იქიდან მტერი.



„ლითონის ცხენი“—ინგლისის ცხენოსან ლაშქარში შემოღებულ იქნა ერთი კაცის ჩასაჯღო-მი ტანკები. ამ ტანკებმა უნდა შესცვალოს ცხენოსანი ლაშქრის ცხენები.


გაჩნდა ეგრეთწოდებული „გაყოლის არტილერია“. ესა წვრილი ზარბაზნები, ნაღმის მსროლელი, ყუმბარების მსროლელი, ცეცხლისმფრქვეველი და სხ. ამ ზარბაზნებმა დიდი სამსახური გასწიეს მსოფლიო ომში და ამიტომ ეძლევა მათ დიდი მნიშვნელობა. ყველა სახელმწიფოში გულდასმით ამუშავებენ საკითხს ქვეითა ჯარის ზარბაზნების შესახებ და ცდიან ამ ზარბაზნების სხვადასხვა ნიმუშებს. ამერიკაში, მაგალითად, ქვეითა ჯარს ისეთი ზარბაზანი აქვს, რომლის დასაშლელად საჭირო არ არის ხელსაწყო. ეს ზარბაზანი შესდგება 10 ნაწილისაგან, ადვილად გადააქვთ ხელით ჯარისკაცებს, ისვრიან კი ეს ზარბაზნები ტყვიებს 8 ათას ნაბიჯზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გაცხარებით მუშაობენ ომში ავიაციისა და ქიმიისა შემოღებაზე, ტყვია-წამლის ხმარებას იქ კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა. ყველგან შემოაქვთ გაუმჯობესებული თოფები — ტყვისმფრქვეველები, მაგ., ახალი ინგლისური თოფის გასროლა წუთში შეიძლება 488-ჯერ, გაიტენება კი ეს თოფი ხელის უბრალო მოძრაობით 2 წამში. ყველგან ბლომად შემოაქვთ სახმარებლად საქვეითო ჯარის ზარბაზნები, ამასთან ერთად გულდასმით მუშაობენ, საშუალებებს არ ზოგავენ შორს ასაფეთქებელი ყუმბარების მსროლი ზარბაზნის შემოღებაზე. უკვე მოახდინეს გამოცდა 200 და მეტი ვერსის მანძილზე ათეული ფუთი ყუმბარებით, მუშაობენ იმაზე, რომ სროლა სწარმოებდეს ელექტრონის დენით, შეკუმშული ჰაერით და სხ.

თავისთავად ასეთ გამანქანებულ ნაწილებს შეუძლიათ დიდძალი სასიკვდილო ცეცხლის მიტანა მტრის ბანაკში. უნდა თავი დავიფაროთ მისგან. ამიტომ მუშაობენ ჯავშნიანი მატარებლებისა და ტანკების გაუმჯობესებაზე. აკეთებენ ასობითა და ათასობით დიდსა და პატარა ტანკებს, რომელნიც მოძრაობენ უსწორმასწორო ადგილებზე, წყლებში და ღრეებში, გადააქვთ ზარბაზნები და ტყვის მფრქვეველები და ეწვე-

ან კავალერიის მაგიერობას. ცხენოსანი ჯარიც ჯერჯერობით რჩება, მაგრამ მისი მაშინიზაციაც ხდება, ე. ი. თითოეულ პოლკში არის ტყვისმფრქვეველი ესკადრონი.

იმის მისწრაფებამ, რომ გაძლიერებულ იქნას ცეცხლის ძალა და მეორე მხრით ზარალი ნაკლები იქნეს, გამოიწვია მწყობრისა და ომის ხასიათის ცვლილება. უკვე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქვეითი ჯარის მწყობრი მომავალში სრულიად უნდა მოიშალოს და ქვეითი მწყობრის ნაცვლად უნდა მოძრაობდეს პატარა ჯავშნიანი ეტლი ორი კაცით იმისათვის, რომ თავისი ტყვისმფრქვეველის ცეცხლით „ამოსწვას“ მოწინააღმდეგე.



მისწრაფებაა, რომ განდევნილ-განადგურებულ იქნას სანგრებში შემძვრალი მტერი, მოესპოს მას სახეღრო მასალის მიწოდება, თვით ნაკლები ზარალი მოუვიდეს, მტერს კი დიდი ზარალი მიაყენოს რაც შეიძლება ჩქარა, რადგანაც ომი ძვირად ჯდება. ამიტომ გაჩნდა ომის დროს ჰაეროპლანი და მომწამლველი გაზები. ომამდე განუვითარებელმა აეროპლანებმა ჩქარა დაამტკიცეს თავის ღირებულება. მათი საშუალებით ახერხებენ მტრის დაზვერვას, თვალყურის დევნებას, ადგილების გადაღებას, ყუმბარების ჩაყრას, ტყვიის მფრქვეველებიდან მტრისთვის სროლას და სხ.

იმავე მისწრაფებამ, რომ განადგურებიათ რაც შეიძლება მეტი რიცხვი მტრის ჯარისკაცებისა, გამოიწვია გამოგონება გაზების, რომელიც შეუმჩნეველად ვრცელდება, უხილავად გაუჯდება ადამიანს ორგანიზმში, იწვევს წვალებით ტკივილებს, ავადმყოფობას, სიკვდილს. დაიწყო გაზების გამოგონებისა და ხმარების ჯობრი. ომში 60 სხვადასხვაგვარ გაზს ხმარობენ.

გაზებმა დიდი სამსახური გაუწია კაპიტალისტებს, მათი საშუალებით ათიათასობით იხრცებოდნენ, იწამლებოდნენ და ბრძავედებოდნენ ადამიანები.

ძნელია ჩამოვთვალოთ თანამედროვე ომში აუცილებელი ყველა იარაღი და საშუალება.

ჩვენ არ უმჯობესობით მოუხმადებელი.

აქ მეტად მოკლედ წარმოდგენილია, თუ როგორ ემზადებიან ომისათვის საზღვარგარეთ, გათვალისწინებულია ის, თუ რა მოაქვს ამ ომს, უკეთეს ის რომელიმე ალაგას იფეთქებს.

ჩვენი მთავრობა, რომელიც ყველაზე უფრო მშვიდობისმოყვარეა, მთელი თავისი ძალ-ღონით მიისწრაფვის ააშოროს სახეღრო საშიშროება ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებს. ის ცდილობს მიახწიოს იმას, რომ თვალები აუხილოს მთელ მსოფლიოს მშრომელთ მომავალ სამხეღრო საშიშროებაზე, ორგანიზაციულად შეაკავშიროს მასები კაპიტალის წინააღმდეგ, რომლის არსებობის დროს ომი და მისი საშინელებანი აუცილებელია. იბადება საკითხი: თუ ომი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იფეთქებს და ჩვენი საბჭოთა ქვეყანა ძალაუფლებურად ჩათრეული იქნება მასში, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ?

პირველად ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მანქანას უკაცოდ მოქმედება არ შეუძლია. არც დაწყველილ გაზს, არც ყველგან მყოფს და ყველაფერის დამნაველ თვითმფრინავს, არც ტანკს, არც

უზარმაზარ ზარბაზანს არ შეუძლია გაჩნდეს და იმოქმედოს უკაცოდ. ყველა ომის გამოცდილება, რაც კი დღემდე მომხდარა, გვეუბნება, რომ რაც გინდა კარგი შეიარაღება და ტექნიკა ჰქონდეს მეომარ მხარეს, გამარჯვებისა თუ დამარცხების საკითხს სწყვეტს კაცი. მისი ნების, მისი სულიერი განწყობილებისაგანაა დამოკიდებული ომში წარმატება. ამ ქვეშაობების დამამტკიცებელი საბუთი პოგვცა ჩვენ სამოქალაქო ომმა, ახალგაზრდა წითელი არმიის კონტრ-რევოლუციონურ არმიებთან ბრძოლამ, რომელნიც მშვენივრად იყვნენ შეიარაღებულინი. და სწორედ ცოცხალი ძალების მხრით ჩვენ ყველაზე ძლიერნი ვართ ჩვენს მტრებში. ჩვენ მოგვეპოვება ბევრი გულადი და ერთგული ხალხი, გვაქვს ნედლოეული, გვყავს ისეთი კაცები, რომლებიც გამოიგონებენ გაზებს, ზარბაზნებს და თვითმფრინავებს უცხოეთის სწავლულებზე არა ნაკლებ, ხშირად უკეთესადაც კი. დაბოლოს, უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ბევრი ისეთი პირობა, რაც აძნელებს ჩვენს მშვიდობიან აღმშენებლობას, სამხედროს მხრით ჩვენი მოკავშირეებია: ტყეებში და ქაობებში ტანკები და თვითმფრინავები ჩაიხრჩობიან.


მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს საბჭოთა ქვეყანას არ გამოჰპარვია უდიდესი სამხედრო საშიშროება, რაც საზღვარგარეთიდან გვემუქრება, მან მიიღო ამის საწინააღმდეგო ზომები. მან სწორედ შეაფასა საშიშროება, მისი რაობა და სწორედვე გამოიმუშავა ღონისძიებანი გასამარჯვებლად, უკეთეს ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა. ყველა იმ ზომებით, რომლითაც წარმოებს მზადება საზღვარგარეთ, მუშაობა მიმდინარეობს ჩვენშიაც.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან ზავისა და მშვიდობიანობისათვის.

ჩვენ ვიცით, რისთვის არსებობს წითელი არმია. ჩვენ გავაძლიერებთ მუშაობას წითელი არმიის გასამტკიცებლად.

ომი წარმოიშობა კაპიტალისტების მეოხებით და ის ისევე საზიზღარია, ისევე სისხლიანი და საშიშია, როგორც თვით კაპიტალი და მისი საქმენი. ძნელია და მძიმე ომის წარმოება. მაგრამ როცა კაპიტალისტები და მემამულენი იარაღს იხმარენ, მუშები და გლეხები მზად უნდა იყვნენ ომისათვის, ჩვენ ვიცით ომის ყველა სიძნელე და გვსურს ვიყოთ მზად, რომ ის დავძლიოთ.

გვსურს, მაშასადამე, გავაკეთებთ.



წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ი ს ი ს ტ ო რ ი ა .

რანაირად გახდა წითელი დროშა სოციალისტური რევოლუციის დროშად?

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წითელი დროშა იყო მეფის განუსაზღვრელი ხელისუფლების დროშა, სააღყო მდგომარეობის გამოცხადების ნიშანი.

მე-XVIII საუკუნეში, როდესაც საფრანგეთში თავს იჩენდა ხოლმე გლეხების აჯანყებები თავად აზნაურობის და სამღვდლოების წინააღმდეგ, როდესაც მათხოვრებად და ყაჩაღებად გადაქცეული უმუშევარი ქარგლები ერთდებოდენ მისთვის რომ დაეწვათ მემკვიდრეების კოშკები ან გაეცარცვათ პურის საცხობები, როდესაც უფლებობანი ეწინააღმდეგებოდენ ფეოდალური წესწყობილების მიერ მათ შეუბრალეზად შევიწროებას,—მაშინ მეფის მოხელენი საშხედრო მდგომარეობას აცხადებდენ საკუთრების დასაცავად და იმის ნიშნად, რომ ძალა უფლება ანგარიშს არ გაუწევს კანონებს, წითელ დროშას გაშლიდენ ხოლმე.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ წლებში წითელი დროშა იყო სიმბოლო მეფის უფლების აღდგენის და აგრეთვე ახლადჩასახული მსხვილი ბურჟუაზიისა, რომელსაც სურდა გაემგარებინა თავისი ზურგი და ქონება რევოლუციონური ხალხის სისხლით.

1791 წ. 10 აგვისტოს და მომდევნო კვირაში მოხდა გარდატეხა არა საფრანგეთის მონარქიის ისტორიაში და ეკროპის დემოკრატიისაში, არამედ წითელი დროშის ისტორიაშიც.

სამი წელიწადი ებრძოდა საფრანგეთის ხალხი ძველ პოლიტიკურ და სოციალურ წესწყობილებას. ხოლო წვრილი თავად-აზნაურობა შევიწროებულ იქნა, მსხვილი მესაკუთრე კი დარჩა პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის ბატონად.

პირველი რევოლუციონური ქარიშხლის შემდეგ დამყარდა წესწყობილება, რომელიც უფრო ამტკიცებდა საწყლების უფლებობას. ეს წესწყობილება მდიდრების ხელში აგდებდა ქვეყანას; მეფე რჩებოდა ხელისუფლების წაჩმომადგენლად.

ამნაირად, რევოლუციით წარმოშობილი კონსტიტუცია ემუქრებოდა თავისუფლებას. თავის დასნა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხალხი მოსპო-

ბდა ამ სახელმწიფო წესწყობილებას, ძალა-უფლებას გამოჰკლევდა ხელიდან მდიდრებს, რომლებმაც პარიზის დამშეული მოსახლეობა ქუჩებში გარეკეს.

მხოლოდ ახალი რევოლუცია თუ მისცემდა მშრომლებს შვებასა და ხსნას.

აუცილებელი იყო შეიარაღებული ხალხის ახალი დიდი გამარჯვება.

პარიზის განაპირა უბნებში, სენტ-ანტუანში, თავს იყრიდა ხალხი, რომელსაც უნდა მოეხდინა აჯანყება „თავისუფლების“ მოსაპოვებლად.

აჯანყების მომზადების თადარიგში დაიბადა ახალი: გამოიყენონ წითელი დროშა რევოლუციის სიმბოლოდ.

რევოლუციონერებმა ისარგებლეს წითელი დროშით, და ის გამოიყენეს აჯანყებული ხალხის ხელისუფლების სიმბოლოდ. ორმკდარვა რაიონიდან ოცდაათმა რაიონმა მიიღო წითელი დროშა; დიდი რაოდენობით გავრცელდა ის განაპირა უბნებში და ფედერალისტებს შორის, პროვინციიდან მოსულ ჯარისკაცებში.

11 აგვისტოს, როდესაც პარიზის ხალხი აჯანყდა და დაიკავა ტიულერი, მოახერხა მეფის ჩამოგდება, მისი დატყვევება, და მოიპოვა საერთო არევენების უფლება, როდესაც პარიზის რევოლუციონურმა კომუნამ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება,—აჯანყებულ ხალხს წითელი დროშა მოჰქონდა.

როდესაც პარიზის მუშებმა თებერვლის რევოლუცია აქციეს პოლიტიკურიდან სოციალურად, მაშინ მუშებმა დროებითი მთავრობისაგან მოითხოვეს, რომ წითელი დროშა ყოფილიყო რესპუბლიკის ნაციონალური წითელი დროშა. ლამარტინმა, პოეტმა და ბურჟუაზიულმა საზოგადო მოღვაწემ, ხუმრობით და ირონიულად შენიშნა:

„სამფეროვანმა დროშამ შემოიარა მთელი მსოფლიო; წითელმა დროშამ კი, გაყდენთილმა ხალხის სისხლით, მხოლოდ მარსის მინდორი“...

იმ დროიდან ბევრი რამ შეიცვალა:

წითელმა დროშამ შემოიარა მთელი მსოფლიო, იმ წითელმა დროშამ, რომელიც აუწყებს დაჩაგრულთ და ბეჩავთ სოციალიზმის გამარჯვებას და ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან დაუზოგავ ბრძოლას.

გამოდის 1927 წ. გამოდის

ტრკვირული საზოგადოებრივი დასუკრათიეული

ქუჩნალი

მუჯრდლითათვის

პიონერი

წელიწადი II

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. ჟველა სკოლეზისათვის სავალდებულოა.

ლენინის სხელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანისაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვაღდებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქუჩნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ხალკე ნომერი — 25 კაპ.

მისაგართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სხეუგამი (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკელაქვიო კოლეზია.